

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



ნათია ჯიბლაძე

საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაციის პერსპექტივები საფინანსო
ინსტიტუტების ხელშეწყობით

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი
მიხეილ თოქმაჯიშვილი

თბილისი
2019

შინაარსი

შესავალი	1
თავი 1. საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების თეორიული კვლევა	10
1.1. საერთაშორისო ვაჭრობაში საფინანსო ინსტიტუტების როლის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი	10
1.1. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობა ინსტიტუციური ჭრილში	32
თავი 2. ვაჭრობის დაფინანსების საერთაშორისო გამოცდილება	61
2.1 თანამედროვე გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის ზემოქმედება საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაზე	61
2.2 საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი	70
თავი 3. საქართველოში ექსპორტის დაფინანსების კვლევის შედეგები	84
3.1. საქართველოს ექსპორტის დაფინანსების კვლევის მეთოდოლოგია და ძირითადი მიმართულებები	84
3.2. საქართველოს ექსპორტის დაფინანსების სტატისტიკური ანალიზი	91
3.3 ექსპორტიორი კომპანიების დაფინანსებასთან დაკავშირებული რაოდენობრივი კვლევის შედეგები	111
3.4. საქართველოს კომერციული ბანკების თვისებრივი კვლევის ანალიზი ვაჭრობის (მათ შორის ექსპორტის) დაფინანსების საკითხებზე.....	146
დასკვნები და რეკომენდაციები	177
დანართები	190
დანართი #1: ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობრივი კვლევის კითხვარი.....	190
დანართი # 2: ჩაღრმავებული ინტერვიუს სახელმძღვანელო კითხვარი კომერციული ბანკების მენეჯმენტისთვის	201
დანართი #3: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბაზის მიერ მოწოდებული ექსპორტიორი კომპანიების სია	204
გამოყენებული ლიტერატურა	214

სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტი

საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაციის პერსპექტივები საფინანსო

ინსტიტუტების ხელშეწყობით

ნათია ჯიბლაძე

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება, ექსპორტის ხელშეწყობა, საფინანსო ინსტიტუტები, გარანტიები, საერთაშორისო ვაჭრობის რისკების ჰეჯირება.

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე შეუქცევადი ინტეგრაციული პროცესები მცირე ქვეყნებს მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სთავაზობს, თუმცა მეორეს მხრივ შეიცავს გარკვეულ გამოწვევებს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს მუდმივად უარყოფით სავაჭრო ბალანსს განაპირობებდა მთელი რიგი ხელისშემშლელი ფაქტორები. ბოლო პერიოდში - გლობალურმა საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა და რუსეთის ემბარგომ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობებზე. რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის შემდგომ დაიკარგა ერთ-ერთი მსხვილი ბაზარი ქართული პროდუქციის ექსპორტისათვის. შედეგად, ქართული კომპანიები დადგნენ მძიმე რეალობის წინაშე – გასაღების ბაზრების დივერსიფიკაციის გზით შეემცირებინათ ის დანაკარგები, რაც საგარეო ბაზრების შეზღუდვასთან იყო დაკავშირებული.

საკითხის **აქტუალურობას** ხაზს უსვამს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის სიჯანსაღისა და სავაჭრო ბალანსის წონასწორობისათვის ექსპორტის გადამწყვეტი მნიშვნელობა. შესაბამისად, მსოფლიოში მუდმივად აქტუალურია ექსპორტის ხელშეწყობისა და დაფინანსების საკითხები და ამ მიმართულებით არსებული პრობლემებისა და გამოწვევების ანალიზი.

დღესდღეობით საფინანსო ინსტიტუტების ხელშეწყობით საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაციის პერსპექტივები არ არის სრულყოფილად შესწავლილი. დისერტაციის ფარგლებში ჩვენ აღნიშნული საკითხის კომპლექსურად გამოკვლევის გზით მივიღეთ გარკვეული **სიახლეები** შემდეგი კონკრეტული შედეგებით:

- თეორიული კვლევის შედეგად გამოვლენილია საერთაშორისო ვაჭრობის და კონკრეტულად ექსპორტის განვითარებაში ვაჭრობის დაფინანსების ახალი გამოწვევები. აღნიშნულია, რომ დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს ვაჭრობის დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხების პერმანენტული კვლევის გამოცდილება და გადასახედია საქართველოში არსებული ვაჭრობის დაფინანსებისა და საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის პროდუქტების ნუსხა.

- კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის საფუძველზე შეფასებულია საქართველოს ექსპორტის განვითარებაზე სესხებისა და გარანტიების ზეგავლენის ხარისხი და დადგენილია, რომ ვაჭრობის დაფინანსების ძირითადი წყარო კვლავ წმინდა სესხებია. ექსპორტიორი კომპანიების კვლევის შედეგად შეფასებულია დაფინანსების ხელმისაწვდომობა, მათ მიერ სესხების და საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების ჰეჯირების ინსტრუმენტების გამოყენება და ცნობადობის ხარისხი.

- რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილია ექსპორტის დაფინანსების ძირითადი პრობლემები: მაღალი საპროცენტო განაკვეთები, გრძელვადიანი დაფინანსების პრაქტიკის არ არსებობა და დიდი მოცულობის უზრუნველყოფის მოთხოვნა.

- შემოთავაზებულია ექსპორტის ფინანსური ხელშეწყობის პირდაპირი და არაპირდაპირი გზები: ქვეყნის რეიტინგის ზრდა, ექსპორტის დაფინანსების სახელმწიფო პოლიტიკისა და სტატისტიკური აღრიცხვის სფეროს ინსტიტუციური სრულყოფა, ექსპორტის განვითარებაზე ორიენტირებული სტრუქტურული ერთეულის ფორმირება, სახელმწიფო პროგრამებში ექსპორტის დაფინანსების გაძლიერება და აღნიშნული პროგრამების ეფექტიანობის ანალიზი.

კვლევის მიზანია განვსაზღვროთ საქართველოს საფინანსო ინსტიტუტების მიერ ექსპორტის დივერსიფიკაციის ხელშეწყობის გზები და შესაძლებლობები. აღნიშნული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შესაბამისი ამოცანები:

- საერთაშორისო ვაჭრობაში ეროვნული და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლის შესახებ ლიტერატურის ანალიზი;

- საერთაშორისო ვაჭრობის გამოწვევების ანალიზი გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში
- ვაჭრობის დაფინანსების ალტერნატიული შესაძლებლობების ანალიზი
- ექსპორტის დაფინანსების ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობების შეფასება საქართველოში
- ექსპორტის დაფინანსების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი.

სადისერტაციო ნაშრომის **სტრუქტურა** მოიცავს შესავალს, სამ თავს, რვა ქვეთავს და დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

პირველ თავში მოცემულია საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებისა და საფინანსო ინსტიტუტების როლის შესახებ ლიტერატურის ანალიზი და საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა ინსტიტუციურ ჩრდილში.

მეორე თავში გაანალიზებულია საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების მსოფლიო პრაქტიკა და ახალი გამოწვევები.

მესამე თავში მოცემულია საქართველოს ექსპორტის დაფინანსების შესახებ რაოდენობრივი, თვისებრივი და სტატისტიკური კვლევის შედეგები.

კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებული იქნა კვლევის მიზანთან დაკავშირებული სამეცნიერო პუბლიკაციების, ელექტრონული რესურსების, საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევების, საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტების ანალიზი, სინთეზი და სისტემატიზაცია. ასევე, ექსპორტის დაფინანსების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდი და რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. ექსპორტიორი კომპანიების წარმომადგენლებთან ექსპორტის დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემატიკის გაანალიზების მიზნით ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, ხოლო ექსპორტის დაფინანსების განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით ჩატარდა საქართველოს უმსხვილესი კომერციული ბანკების მენეჯმენტთან.

სადისერტაციო ნაშრომის აქვს **პრაქტიკული მნიშვნელობა**. მისი შედეგების გამოყენება შეუძლიათ როგორც კერძო საფინანსო ინსტიტუტებს, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებს

და სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს. მოცემული დასკვნები ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მიერ ექსპორტის მართვის გაუმჯობესებას, კომერციული ბანკების მიერ ექსპორტის დაფინანსების გაზრდას და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას. ნაშრომი შესაძლოა გამოყენებული იქნას უნივერსიტეტებში საერთაშორისო ვაჭრობის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, საერთაშორისო ფინანსების და საერთაშორისო ორგანიზაციების დისციპლინების სწავლებისას.

Abstract

Prospects of Georgia's Export Diversification with the Support of Financial Institutions

Natia Jibladze

Key words: International trade finance, export facilitation, financial institutions, guarantees, hedging of international trade risks.

The inconvertible integrative processes in the global economy offer considerable opportunities for small countries, but also create challenges. Since independence, Georgia has faced obstacles regarding negative trade balance. The global financial crisis and Russian embargo significantly influenced foreign trade, as Georgia lost one of its largest markets for exporting domestic products following the Russian-Georgian conflict. Georgian companies were forced to reduce losses related to foreign market restrictions and diversify their exports.

The importance of exporting for balance of trade and economic sustainability of developing countries underlines the **actuality of the issue**.

Consequently, trade facilitation and export financing issues remain highly relevant and analysis of challenges in this direction is critical.

Georgia's prospects for export diversification, with the support of financial institutions, are currently not being fully studied. In the framework of the dissertation, we have discovered the following **findings**:

- Theoretical research reveals challenges for international trade financing and export development. Notably, permanent research on the availability of trade financing does not exist in Georgia and trade finance and risk insurance products should be reviewed.
- On the basis of correlation-regressive analysis to assess the impact of loans and guarantees on export development, loans were identified as the main trade financing source in Georgia.
- Research was conducted on Georgian export companies regarding access on trade finance, loan and international trade risk hedging instruments usage and awareness levels.
- Quantitative research reveals problems in export financing such as: high interest rates, non-existence of long-term funding practices and high requirements for collateral.
- Direct and indirect methods of export facilitation are offered such as growth of country ratings, institutional improvement of state policy and statistical data collection of export financing, formation of an export development-focused structural unit, strengthening export funding in state programs and analysis of program efficiency.

The purpose of the research is to determine export diversification opportunities with the support of Georgian financial institutions. In order to achieve the aforementioned objective, the following assessments are undertaken:

- Analysis of literature regarding the role of financial institutions in international trade;
- Identification of international trade challenges following the financial crisis and analysis of alternative trade finance opportunities;
- Assessment of institutional development opportunities for export financing in Georgia;
- Correlation-regressive analysis of export financing.

The **structure** of the PhD thesis includes an introduction, three chapters, eight subchapters and recommendations. The first chapter provides an analysis of literature on the role of international trade financing and financial institutions, reviewing the Georgian context through an institutional frame. The second chapter analyzes the international experience of international trade, including new challenges. The third chapter provides the results of quantitative, qualitative and statistical research on Georgia's export financing.

In order to assess challenges and opportunities of export financing in Georgia, combination of **research methodology** was designed.

The theoretical foundation of the research includes scientific literature, articles and electronic resources regarding trade finance. Quantitative research method was selected for analyzing the accessibility of financial resources for Georgia's exporting companies. To define export finance development prospects, in-depth interviews were conducted with the management of Georgian commercial banks.

This PhD thesis has **practical importance**, as results can be used by financial institutions, as well as state structures and scientific and educational institutions. Obtained conclusions will contribute export management improvement by the state, growth of export financing by commercial banks and reduce of trade finance risks. It can also be used by universities on the international disciplines of trade, economic relations and finance.

ნახაზები

ნახაზი 1.1.1 - საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები.....	15
ნახაზი 1.2.1 - საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები (2016-2018)	35
ნახაზი 1.2.2 - ქვეყნების ჯგუფების წილი ექსპორტში (2018 წელს).....	36
ნახაზი 1.2.3 - მთლიანი სასესხო პორტფელის ცვლილება.....	37
ნახაზი 1.2.4 - კომერციული ბანკების მიერ იურიდიული პირებისთვის გაცემული სესხები (ეროვნული ვალუტით).....	38
ნახაზი 1.2.5 - კომერციული ბანკების მიერ იურიდიული პირებისთვის გაცემული სესხები (უცხოური ვალუტით).....	39
ნახაზი 1.2.6 - სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სემენტების მიხედვით.....	40
ნახაზი 1.2.7 - ბიზნესის ხელისშემწეელი ფაქტორები.....	42
ნახაზი 1.2.8 - ბანკის სესხებით სარგებლობა (%).....	60
ნახაზი 1.2.9 - საჭირო უზრუნველყოფის მოცულობის წილი სესხთან მიმართებაში (%).....	61
ნახაზი 2.2.1 - მსოფლიო ვაჭრობის ზრდა.....	71
ნახაზი 2.2.2 - თავისუფალი ვაჭრობის შემზღუდავი ნორმები.....	72
ნახაზი 2.2.3 - კერძო სექტორის დაკრედიტება მცირე და განვითარებადი ეკონომიკების მქონე ქვეყნებში (EMDEs)	73
ნახაზი 2.2.4 - ექსპორტის დაფინანსების პროდუქტები.....	74
ნახაზი 2.2.5 - ვაჭრობის დაფინანსების მოცულობების ტრენდი, 2014-2015.....	75
ნახაზი 2.2.6 - მოლოდინი ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების საკომისიოებთან დაკავშირებით.....	76
ნახაზი 2.2.7 - გარანტიებთან დაკავშირებული პრეტენზიების, სასამართლო დავებისა და თაღლითობების ტრენდი.....	77
ნახაზი 2.2.8 - ვაჭრობის დაფინანსების ძირითადი ხელისშემწეელი ფაქტორები.....	78
ნახაზი 2.2.9 - ბანკების მიერ ვაჭრობის დაფინანსების პროცესების გაციფრულების (digitalisation) ხარისხი.....	79

ნახაზი 2.2.10 - SWIFT ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებში.....	80
ნახაზი 2.2.11 - გაგზავნილი და მიღებული აკრედიტივების (L/C) მოცულობა (2015)	80
ნახაზი 3.2.1 - საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB), 2010-2018*	93
ნახაზი 3.2.2 - კომერციული ბანკების მიერ იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები (ათასი ლარი).....	95
ნახაზი 3.2.3 - საპროცენტო განაკვეთი ლარში გაცემულ სესხებზე.....	96
ნახაზი 3.2.4 - კომერციული ბანკების მიერ იურიდიულ პირებზე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები (ათასი ლარი).....	97
ნახაზი 3.2.5 - საპროცენტო განაკვეთი უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე.....	98
ნახაზი 3.2.6 - ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხები.....	101
ნახაზი 3.2.7 - ექსპორტისა და ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხების რეგრესიული ანალიზი.....	104
ნახაზი 3.2.8 - ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიები (მლნ. აშშ დოლარი).....	106
ნახაზი 3.2.9 - ექსპორტისა და ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიების რეგრესიული ანალიზი.....	109
ნახაზი 3.2.10 - „აწარმოე საქართველოში“ (საერთაშორისო ღონისძიებების დაფინანსება ექსპორტის ხელშეწყობისთვის).....	111
ნახაზი 3.3.1 - კომპანიის ტიპი წლიური ბრუნვის მიხედვით.....	113
ნახაზი 3.3.2 - კომპანიის ფუნქციონირების პერიოდი.....	114
ნახაზი 3.3.3 - საექსპორტო პროდუქციის სახეობები.....	115
ნახაზი 3.3.4 - ექსპორტიორი კომპანიების მიერ საბანკო კრედიტით სარგებლობა.....	116
ნახაზი 3.3.5 - ექსპორტის დასაფინანსებლად საბანკო კრედიტის გამოუყენებლობის მიზეზები.....	117
ნახაზი 3.3.6 - საბანკო კრედიტით სარგებლობის სირთულეები.....	117
ნახაზი 3.3.7 - ექსპორტზე პროდუქციის გატანის გამოცდილება.....	118
ნახაზი 3.3.8 - საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები.....	119

ნახაზი 3.3.9 - რამდენად გააფართოვებთ თქვენი საექსპორტო საქონლის ასორტიმენტი ბოლო 5 წლის მანძილზე.....	120
ნახაზი 3.3.10 - ექსპორტის მოცულობის ცვლილება ბოლო 5 წლის მანძილზე.....	121
ნახაზი 3.3.11 - საექსპორტო პროდუქციის ასორტიმენტის ცვლილება.....	121
ნახაზი 3.3.12 - ექსპორტის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორები.....	122
ნახაზი 3.3.13 - ვაჭრობის ფირმათაშორისი დაკრედიტების გამოყენება.....	123
ნახაზი 3.3.14 - ვაჭრობის ფირმათაშორისი დაკრედიტების ფორმების მახასიათებლები..	124
ნახაზი 3.3.15 - ვაჭრობის ფირმათაშორისი დაკრედიტების ფორმების მოცულობის ცვლილება ბოლო 5 წლის მანძილზე.....	124
ნახაზი 3.3.16 - რომელი ბანკ(ებ)ში სარგებლობთ ვაჭრობის/ექსპორტის დაკრედიტების მომსახურებით?.....	125
ნახაზი 3.3.17 - ვაჭრობის (ექსპორტის) დაფინანსებისთვის მომსახურე ბანკების შერჩევაზე მოქმედი ფაქტორები.....	126
ნახაზი 3.3.18 - ფლობთ თუ არა ინფორმაციას საერთაშორისო ვაჭრობის რისკების დაზღვევის რა საშუალებების შემოთავაზება შეუძლია ბანკს	126
ნახაზი 3.3.19 - ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის საბანკო პროდუქტებით სარგებლობა.....	127
ნახაზი 3.3.20 ა, ბ - კომერციული ბანკების მიერ შემოთავაზებული ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების შეფასება.....	128-129
ნახაზი 3.3.21 - ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებზე საჭიროების ცვლილება.....	129
ნახაზი 3.3.22 - ბოლო 1 წლის მანძილზე ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების მოთხოვნით საბანკო დაწესებულებებისადმი მიმართვიანობა.....	130
ნახაზი 3.3.23 - დაფინანსებისთვის მოთხოვნილი თანხის მიღების სისრულე.....	131
ნახაზი 3.3.24 - ბანკების მხრიდან ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების შეთავაზების სიხშირე.....	131
ნახაზი 3.3.25 - საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების შეფასება ვაჭრობის დაფინანსების თვალსაზრისით.....	132

ნახაზი 3.3.26 - ვაჭრობის დასაფინანსებლად გამოყენებული საბანკო პროდუქტების მოცულობის ცვლილება ბოლო 5 წლის მანძილზე.....	133
ნახაზი 3.3.27 - ბოლო 5 წლის განმავლობაში ბანკიდან აღებული დაფინანსების ზემოქმედება ექსპორტიორი კომპანიების წმინდა შემოსავლებზე (net income from trade finance)	134
ნახაზი 3.3.28 - რამდენად შეცვლილია ფინანსებზე ხელმისაწვდომობა თქვენი მომსახურე ბანკების მხრიდან ბოლო 1 წლის განმავლობაში.....	135
ნახაზი 3.3.29 - რამდენად შეიცვალა ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებზე ფასები (საპროცენტო განაკვეთი, საკომისიოები, ტარიფები) ბოლო 1 წლის განმავლობაში.....	135
ნახაზი 3.3.30 - ვაჭრობის დაფინანსებაზე უარის მიღების სიხშირე.....	136
ნახაზი 3.3.31 - ვაჭრობის დაფინანსებაზე უარის მიზეზები.....	136
ნახაზი 3.3.32 - ვაჭრობის დაფინანსების ხელისშემშლელი ფაქტორები.....	137
ნახაზი 3.3.33 - ვაჭრობის დაფინანსების ალტერნატიულ წყაროების ცნობადობა.....	138
ნახაზი 3.3.34 - დაფინანსების ალტერნატიული წყაროების პრობლემები.....	138
ნახაზი 3.3.35 - ვაჭრობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობა.....	139
ნახაზი 3.3.36 - ვაჭრობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების შეფასება.....	140
ნახაზი 3.3.37 - მოლოდინები თქვენი კომპანიის საექსპორტო მაჩვენებლების ზრდის მიმართულებით.....	143
ნახაზი 3.3.38 - ექსპორტის დივერსიფიკაციასთან დაკავშირებული გეგმები.....	143
ნახაზი 3.3.39 - მოლოდინები ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიმართულებით.....	144
ნახაზი 3.4.1 – საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების ხელშეწყობის “სამი ინსტანცია”..	147

ცხრილები

ცხრილი 1.1.1- საერთაშორისო ვაჭრობაში დაფინანსების როლის შესახებ არსებული ლიტერატურის კლასიფიკაცია.....	22
ცხრილი 1.2.1- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ვაჭრობის მხარდაჭერა (2015)	43

ცხრილი 3.2.1- საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2010-2018წწ.....	92
ცხრილი 3.2.2 - კომერციული ბანკების მიერ იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები.....	95
ცხრილი 3.2.3 - კომერციული ბანკების მიერ იურიდიულ პირებზე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები.....	96
ცხრილი 3.2.4 - ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში (2008-2017)	99
ცხრილი 3.2.5 - ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხები.....	99
ცხრილი 3.2.6 - ექსპორტი და ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხები.....	100
ცხრილი 3.2.7 - დისპერსიული ანალიზი (ANOVA), ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხები.....	102
ცხრილი 3.2.8 - ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიები.....	105
ცხრილი 3.2.9 - ექსპორტი და ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიები.....	105
ცხრილი 3.2.10 - დისპერსიული ანალიზი (ANOVA), ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიები.....	107
ცხრილი 3.2.11 - „აწარმოე საქართველოში“(საერთაშორისო ღონისძიებების დაფინანსება ექსპორტის ხელშეწყობისთვის).....	110
ცხრილი 3.4.1- კომერციული ბანკების მენეჯმენტთან ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპოდენტების პროფილი.....	149

აბრევიატურა

- COSME - მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობა
- DCFTA – ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება
- EaSI - დასაქმებისა და სოციალური ინოვაციების პროგრამა
- ESIF - ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდები
- AML -Anti-Money Laundering
- CFT- countering terrorism financing
- ECI – Export credit insurance
- Funded Risk Participation Agreement (FRPA),
- SME – small and medium business
- SWIFT - Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication

შესავალი

თემის აქტუალობა. სავაჭრო ურთიერთობების განვითარება მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობისათვის. საქართველო ღია ეკონომიკისა და ამავდროულად, შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყანაა. მას შემდეგ, რაც საქართველომ ეტაპობრივად დაიწყო ჩართვა მსოფლიო ეკონომიკაში, მუდმივად უარყოფით სავაჭრო ბალანსს წლების განმავლობაში განაპირობებდა მთელი რიგი ხელისშემშლელი ფაქტორები. ბოლო პერიოდში - გლობალურმა საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა და რუსეთის ემბარგომ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზე. რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის შემდგომ რუსეთთან ექსპორტი შეჩერდა და რუსეთის სახით დაიკარგა ერთ-ერთი მსხვილი ბაზარი ქართული პროდუქციის ექსპორტისათვის. შედეგად, ქართული კომპანიები დადგნენ მძიმე რეალობის წინაშე – რაც შეიძლება სწრაფად მოეხდინათ გასაღების ბაზრების დივერსიფიკაცია და ამით შეემცირებინათ ის დანაკარგები, რაც საგარეო ბაზრების შეზღუდვასთან იყო დაკავშირებული.

2008 წელი მძიმე აღმოჩნდა მსოფლიოსთვისაც. გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი თანამედროვეობის ყველაზე ღრმა და კოლოსალური დანაკარგების მქონე კრიზისად დასახელდა, რომელმაც მსოფლიოს დიდი ნაწილი მოიცვა და მნიშვნელოვნად დააზარალა საერთაშორისო ვაჭრობა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ეკონომიკური თეორიის ახლებურად გააზრება და როგორც ბიზნესის, ასევე ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრუქტურებისათვის მეცნიერულად დასაბუთებული, თუმცა რეალობას მორგებული მეთოდოლოგიური რეკომენდაციების შეთავაზების აუცილებლობა.

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების პარალელურად, მუდმივად განიხილება ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის საკითხი. საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ ვაჭრობის დაფინანსება საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე აფერხებს ქვეყნის

კონკურენტუნარიანობას. თანამედროვე გამოწვევები მოითხოვს გათვალისწინებული იქნას გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისით მიღებული შედეგები.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ვაჭრობის წახალისების, დაფინანსებისა და ზოგადად, ვაჭრობის რისკების მინიმიზაციის საკითხებში როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები არიან ჩართული. თითოეულ მათგანს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია აკისრია. საერთაშორისო ვაჭრობის და კონკრეტულად, ექსპორტის განვითარებისა და ბაზრების დივერსიფიკაციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული ინსტიტუტებისა თუ სტრუქტურული ერთეულების აქტივობებისა და ზოგადად, ვაჭრობის დაფინანსების კუთხით არსებული მდგომარეობის ანალიზს ქმედუნარიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური რეკომენდაციებისა და პრევენციული წინადადებების შესამუშავებლად.

საკითხის აქტუალობას ხაზს უსვამს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის სიჯანსაღისა და სავაჭრო ბალანსის წონასწორობისათვის ექსპორტის გადამწყვეტი მნიშვნელობა, რაც თავისმხრივ წარმოადგენს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთ ძირითად არხს. შესაბამისად, საექსპორტო პოტენციალის ზრდის თვალსაზრისით, მსოფლიოში მუდმივად აქტუალურია ექსპორტის ხელშეწყობისა და დაფინანსების საკითხები და ამ მიმართულებით არსებული პრობლემებისა და გამოწვევების ანალიზი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნებს შორის კონკურენცია მწვავედება, ეროვნული ვალუტა უფასურდება, საგადასახდლო ბალანსი ირღვევა და კეთილდღეობა არ იზრდება. შესაბამისად, ნებისმიერი ქვეყნისთვის და კონკრეტულად საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ექსპორტზე ორიენტაცია.

კვლევის მიზანია საქართველოს ექსპორტის დაფინანსების ანალიზის საფუძველზე განვსაზღვროთ საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან ექსპორტის დივერსიფიკაციის ხელშეწყობის გზები და შესაძლებლობები. აღნიშნული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შესაბამისი ამოცანები:

- საერთაშორისო ვაჭრობაში ეროვნული და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი;

- საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების ანალიტიკური მიმოხილვა;
- ვაჭრობის დაფინანსების ალტერნატიული შესაძლებლობების ანალიზი;
- საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების გამოწვევების ანალიზი თანამედროვე გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში;
- საქართველოში საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობის შესწავლა ინსტიტუციურ ჭრილში. კერძოდ, მოქმედი სახელმწიფო პროგრამების, საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული პროექტებისა და კომერციული ბანკების მიერ შემოთავაზებული პროდუქტების ანალიზი;
- ექსპორტის დაფინანსების ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობების შეფასება საქართველოში;
- ექსპორტზე მოქმედი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის - ვაჭრობის დაფინანსების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. ნაშრომზე მუშაობის პროცესში ინფორმაციის წყაროდ გამოყენებული იქნა კვლევის მიზანთან დაკავშირებული სამეცნიერო პუბლიკაციები და ელექტრონული რესურსები, სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტები, საქართველოს ეროვნული ბანკისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საინფორმაციო ბიულეტენები.

თეორიული და ლიტერატურული წყაროების დამუშავებისას ნაშრომში გაკეთებულია მოპოვებული მონაცემების ანალიზი, სინთეზი, დაჯგუფება და სისტემატიზაცია. ასევე გამოყენებულია ეკონომიკური და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები. კერძოდ, ექსპორტზე მოქმედი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის - დაფინანსების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდი და ასევე რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები ჩაღრმავებული ინტერვიუს სახით.

ექსპორტიორი კომპანიების წარმომადგენლებთან ექსპორტის დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემატიკის გაანალიზების მიზნით ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის

მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან გამოთხოვილი იქნა საქართველოს უმსხვილესი ექსპორტიორი კომპანიების ბაზა საექსპორტო ბრუნვის მიხედვით, მათ შორის ნაწილი უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. აღნიშნული ბაზიდან (სულ 1000-მდე კომპანია) შემთხვევითი შერჩევით დაკავშირება მოხდა 250 კომპანიასთან და საბოლოო ჯამში ჩატარდა 128 სრულყოფილი ინტერვიუ (დანართი #3). კვლევაში გამოყენებული იქნა როგორც სატელეფონო კვლევის, ასევე ელექტრონული კითხვარის შევსების მეთოდები, თუმცა თვითსელექციის პრობლემის თავიდან არიდების მიზნით, რესპოდენტთა ძირითადი ნაწილი (92%) დაიფარა სატელეფონო ინტერვიუს ფორმატით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო მიზნობრივმა სეგმენტმა, რომელიც შედგებოდა ექსპორტიორი კომპანიების ზედა დონის მენეჯმენტის წარმომადგენლებისგან, რომლებიც ფლობდნენ კომპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით ზუსტ ინფორმაციას - მთავარი ბუღალტრები, ფინანსური და/ან კომერციული დეპარტამენტის თანამშრომლები და აღმასრულებელი დირექტორები. კითხვარის ბაზად აღებული იქნა საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით განხორციელებული კვლევები, ანგარიშები და აღნიშნულ თემატიკაზე არსებული კითხვარების ნიმუშები.

რაც შეეხება თვისებრივ კვლევას, მისი ჩატარების აუცილებლობა დადგა ექსპორტიორ კომპანიებთან ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე. რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ ჯერ კიდევ არსებობს საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების და განსაკუთრებით ექსპორტის დაფინანსების განვითარების კუთხით გარკვეული შესაძლებლობები და ისეთი სახის პრობლემატიკა, რომლის მოგვარებაც უფრო მეტად სასარგებლო იქნებოდა ვაჭრობის დაფინანსების ხელშეწყობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ მომხმარებელთან პირდაპირი შეხება კომერციულ ბანკებს აქვთ და ყველაზე მეტად ისინი ფლობენ ინფორმაციას საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული კომპანიების საჭიროებებისა და ზოგადად, ბიზნესის დაკრედიტების გამოწვევების შესახებ, აღნიშნულ საკითხებზე დეტალური ჩაღრმავებისთვის ჩატარდა თვისებრივი კვლევა კომერციული ბანკების მენეჯმენტთან. კვლევა მიზნად ისახავდა ვაჭრობის და კონკრეტულად, ექსპორტის

დაფინანსების კუთხით ექსპორტიორი კომპანიების მიერ დაფიქსირებული პრობლემური საკითხების მოგვარების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შეფასებას უშუალოდ კომერციული საბანკო სექტორის ხედვებზე დაყრდნობით. კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია. კერძოდ, სამიზნე ჯგუფისთვის შერჩეული იქნა ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარით. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა მოხდეს რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის დეტალიზება და სიღრმისეული ანალიზი.

კომერციული საბანკო სექტორის ხედვების, სტრატეგიისა და ვაჭრობის (ექსპორტის) დაფინანსების განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვებისთვის ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა საქართველოს უმსხვილესი კომერციული ბანკების იმ დეპარტამენტების და განყოფილებების მენეჯმენტთან, რომლებიც ჩართულები არიან ვაჭრობის დაფინანსებაში.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე. საფინანსო ინსტიტუტების ხელშეწყობით საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაციის პერსპექტივები არ არის სრულყოფილად შესწავლილი. დისერტაციის ფარგლებში ჩვენ აღნიშნული საკითხის კომპლექსურად გამოკვლევის გზით მივიღეთ შემდეგი კონკრეტული შედეგები:

- თეორიული კვლევის შედეგად გამოვლენილია საერთაშორისო ვაჭრობის და კონკრეტულად ექსპორტის განვითარებაში ვაჭრობის დაფინანსების ახალი გამოწვევები და მისი განვითარების შესაძლებლობები. აღნიშნულია, რომ დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს ვაჭრობის დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხების პერმანენტული კვლევის გამოცდილება და გადასახედია საქართველოში არსებული ვაჭრობის დაფინანსებისა და რისკების დაზღვევის პროდუქტების ნუსხა. შემოთავაზებულია ქართულ ბაზარზე ექსპორტის განვითარებისათვის ისეთი საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა, როგორცაა საექსპორტო კრედიტის დაზღვევა, რომელიც კრედიტის გადაუხდელობის რისკისგან დააზღვევდა ექსპორტიორს.

- კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის საფუძველზე შეფასებულია საქართველოს ექსპორტის განვითარებაზე სესხებისა და გარანტიების ზეგავლენის ხარისხი. ექსპორტისა და ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ სესხებს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა ექსპორტის მოცულობაზე, რადგან ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხების ერთი ერთეულით ცვლილება განაპირობებს ექსპორტის მოცულობის 5.598 ერთეულით ცვლილებას. დადგენილია, რომ ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემულ გარანტიებს, რომელიც ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, გააჩნია შედარებით სუსტი გავლენა ექსპორტის მოცულობაზე. გარანტიების ერთი ერთეულით ცვლილება განაპირობებს ექსპორტის მოცულობის მხოლოდ 1.333 ერთეულით ცვლილებას. შეფასებულია აღნიშნული ეფექტები და აღნიშნულია, რომ ექსპორტზე დაფინანსების პროდუქტებთან ერთად სხვა მაკროეკონომიკური ფაქტორებიც ახდენს გავლენას, თუმცა მათი ზემოქმედების ხარისხი ექსპორტზე დაბალია და ვაჭრობის დაფინანსების ძირითადი წყარო კვლავ წმინდა სესხებია.
- ექსპორტიორი კომპანიების კვლევის შედეგად შეფასებულია ექსპორტიორი კომპანიებისათვის დაფინანსების ხელმისაწვდომობა, მათ მიერ სესხების და საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების ჰეჯირების ინსტრუმენტების გამოყენება და ასევე აღნიშნული ინსტრუმენტების ცნობადობის ხარისხი. დადგენილია, რომ საქართველოში დაბალია ვაჭრობის დაფინანსებისა და ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების ჰეჯირების პროდუქტების ბაზრის განვითარების დონე, რაც გამოწვეულია როგორც ექსპორტიორთა ცნობადობის დაბალი დონით და ამ ტიპის პროდუქტებზე არსებული საკომისიო დანახარჯებით, ასევე უშუალოდ კომერციული ბანკების შედარებითი პასიურობით.
- რაოდენობრივი კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ექსპორტიორი კომპანიების 76%-ს არ უსარგებლია ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის პროდუქტებით. მხოლოდ 6-6%-ს აქვს გამოყენებული სავალუტო ოფციონი და ფაქტორინგი და 12%-ს

უსარგებლია სავალუტო ფორვარდით. ამასთანავე, გამოვლენილია კომერციული ბანკების მხრიდან ექსპორტის დაფინანსებისას წარმოჩენილი ძირითადი პრობლემები, რომელთა შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მაღალი საპროცენტო განაკვეთები (57%), გრძელვადიანი დაფინანსების პრაქტიკის არ არსებობა (32%) და დიდი მოცულობის უზრუნველყოფის მოთხოვნა (16%).

- თვისებრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაანალიზებულია ექსპორტიორი კომპანიების მიერ რაოდენობრივ კვლევაში დაფიქსირებული პრობლემების აღმოფხვრის გზები და შემოთავაზებულია ექსპორტის ფინანსური ხელშეწყობის პირდაპირი და არაპირდაპირი გზები, როგორცაა ტრანზიტული ტვირთებით საბანკო სესხების უზრუნველყოფა, ქვეყნის რეიტინგის ზრდა, რომელიც მნიშვნელოვნად მოქმედებს საბანკო საკრედიტო ბაზრის განვითარებაზე, ექსპორტის დაფინანსების სახელმწიფო პოლიტიკისა და სტატისტიკური აღრიცხვის სფეროს ინსტიტუციური სრულყოფა, ექსპორტის განვითარებაზე ორიენტირებული სტრუქტურული ერთეულის - ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტოს ფორმირება, პროგრამაში “აწარმოე საქართველოში” ექსპორტის დაფინანსების გაძლიერება და პროგრამის ფარგლებში განხორციელებული დაფინანსების ეფექტურობის პერმანენტული ანალიზი.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. აღნიშნულ დისერტაციას გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა. მისი შედეგების გამოყენება შეუძლიათ როგორც კერძო საფინანსო ინსტიტუტებს, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებს, ცალკეულ კვლევით ორგანიზაციებსა და სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს. მოცემული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მიერ ექსპორტის მართვის გაუმჯობესებას, კომერციული ბანკების მიერ ექსპორტის დაფინანსების გაზრდას და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას. ნაშრომი ასევე საინტერესო მასალაა კვლევითი ინსტიტუტებისათვის და შესაძლოა გამოყენებული იქნას უნივერსიტეტებში საერთაშორისო ვაჭრობის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, საერთაშორისო ფინანსების და საერთაშორისო ორგანიზაციების დისციპლინების სწავლებისას.

კვლევის შედეგების პუბლიკაცია. დისერტაციის კვლევის შედეგები წარმოდგენილი იქნა ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებზე და გამოქვეყნდა სხვადასხვა რეფერირებად ჟურნალში:

1. Jibladze N. “Challenges of conducting export financing research: Experience of Georgia”. ISBN 978-966-926-228-8. IV International Scientific and Practical Conference “Strategic Imperatives of Modern Management (SIMM-2018), Ukraine, Kyiv, 19-20 April, 2018.
2. Jibladze N. “Problems and challenges of trade facilitation and trade finance in light of institutional framework: Case of Georgia”. ISSN 2311-6269. 12th International Conference of Management, Finance and Entrepreneurship (ICMFE-2017), Istanbul, Turkey, October 22-23, 2017.
3. ჯიბლაძე ნ., “საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება 2008 წლის გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში”. ISSN 1987-5789, ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”, ტომი X, #3, 2017.
4. ჯიბლაძე ნ., “თანამედროვე გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის გაკვეთილები: SWOT ანალიზი”. მე-5 საერთაშორისო კონფერენციის “მსოფლიო და კავკასია” მასალები, 2016.
5. ჯიბლაძე ნ., “გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის გავლენა საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაზე”. თსუ, სტუდენტთა 76-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, I ადგილი, 2016.

დასკვნები და რეკომენდაციები. სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში რაოდენობრივი, თვისებრივი და სტატისტიკური კვლევის საფუძველზე გაკეთდა დასკვნების სისტემატიზაცია და რეკომენდაციები ჩამოყალიბდა სამ ძირითად მიმართულებად:

1. ექსპორტიორ კომპანიებთან დაკავშირებული გამოწვევები და პრევენციის გზები
2. კომერციული საბანკო სექტორის გამოწვევები ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით

3. დასკვნები და რეკომენდაციები ვაჭრობის დაფინანსების სახელმწიფო პოლიტიკისა და ეროვნული და საერთაშორისო რეგულაციების მიმართულებით

დისერტაციის სტრუქტურა. დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, რვა ქვეთავის, დასკვნებისა და რეკომენდაციების, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და დანართებისაგან.

პირველ თავში მოცემულია საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების თეორიული კვლევის შედეგები და განხილულია როგორც საერთაშორისო ვაჭრობაში საფინანსო ინსტიტუტების როლის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი, ასევე საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობის კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა ინსტიტუციურ ჭრილში.

მეორე თავში გაანალიზებულია საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების მსოფლიო პრაქტიკა. კერძოდ კი, საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების გამოწვევები თანამედროვე გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში და საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.

მესამე თავში მოცემულია საქართველოს ექსპორტის დაფინანსების შესახებ კვლევის შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც შემუშავებულია დისერტაციის დასკვნები და რეკომენდაციები. აღნიშნული თავის პირველი ქვეთავი ეთმობა ექსპორტის დაფინანსების კვლევების გამოწვევებს საქართველოს მაგალითზე. მომდევნო ქვეთავებში კი მოცემულია რაოდენობრივი, თვისებრივი და სტატისტიკური კვლევის შედეგების ანალიზი:

- საქართველოს ექსპორტის დაფინანსების სტატისტიკური ანალიზი
- ექსპორტიორი კომპანიების დაფინანსებასთან დაკავშირებული რაოდენობრივი კვლევის შედეგები
- საქართველოს კომერციული ბანკების თვისებრივი კვლევის ანალიზი ვაჭრობის (ექსპორტის) დაფინანსების საკითხებზე.

თავი 1. საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების თეორიული კვლევა

1.1. საერთაშორისო ვაჭრობაში საფინანსო ინსტიტუტების როლის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი

თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაცია დიდ გავლენას ახდენს საბაზრო ეკონომიკაზე და მსოფლიოს ინტეგრაციული პროცესების ფონზე მეტად აქტუალური ხდება საერთაშორისო ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების სრულყოფისა და ოპტიმიზაციის საკითხები. საერთაშორისო ვაჭრობა და მისი დაფინანსება სწორედ ის მიმართულებებია, საიდანაც საერთაშორისო ეკონომიკა, როგორც დისციპლინა ჩამოყალიბდა. ეკონომიკური მოდელის აღწერის პირველ მცდელობად ითვლება დ.ჰიუმის ნაშრომი “ვაჭრობის ბალანსის შესახებ” (“Of the Balance of Trade”). XIX-ის დასაწყისში კი ბრიტანეთის სავაჭრო პოლიტიკის გარშემო არსებულმა დებატებმა ჩაუყარა საფუძველი ეკონომიკის გარდაქმნას სტაბილური განვითარების მქონე მიმართულებიდან თანამედროვეობის აქტუალურ დისციპლინად (Krugman, Obstfeld, Melitz, 2012).

საერთაშორისო ვაჭრობა ისტორიულად ხასიათდება ინტენსიური კონკურენციით და არც დღევანდელია წარმოადგენს გამონაკლისს. XXI საუკუნეში ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების ზრდის გამო მსოფლიო რთულ მექანიზმად გადაიქცა და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში საფინანსო ინსტიტუტების ჩართულობასთან ერთად გაჩნდა როგორც საშუამავლო კომპანიების, ასევე ექსპორტის ხელშეწყობის სახელმწიფო დახმარებისა და დაფინანსების პროგრამების შექმნის აუცილებლობა.

საერთაშორისო ვაჭრობის, კერძოდ, ექსპორტის ზრდის პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობები განაპირობებს მთელი რიგი ქვეყნების მხრიდან ექსპორტის სტიმულირების მრავალმხრივი მეთოდების გამოყენებას. ზოგი ქვეყანა ექსპორტიორებს უზდის დოტაციებს. არსებობს ასევე სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტის „იაფი“ დაფინანსების პრაქტიკაც. განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნები აქტიურად ცდილობენ აამოქმედონ ექსპორტის სტიმულირების ფართო სპექტრი და ინვესტორები დღე-ზე დაწესებული შეღავათებით

დაინტერესონ საექსპორტო დარგების ინვესტირების წასახალისებლად (ვორფილდი, ჯერალდი, 2002).

საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტის სუბსიდირება და გარიგებათა ხელსაყრელი პაკეტის ფორმირება, რასაც ძირითადად საექსპორტო სააგენტოები და ექსიმბანკები ახორციელებენ. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები საკმაოდ ეფექტიანად ფუნქციონირებენ მსოფლიოს არაერთ წამყვან ქვეყანაში, რასაც განვითარებადი ქვეყნები მოკლებულნი არიან და კარგი იქნება, თუკი ეს ქვეყნები და მათ შორის საქართველოც გაითვალისწინებს უცხოურ გამოცდილებას და მოარგებს მას საკუთარი ქვეყნის თავისებურებებს.

“მაგალითისთვის, აშშ-ში საგარეო ვაჭრობის დაფინანსებას კომერციული ბანკების პარალელურად ახორციელებს ექსპორტ-იმპორტის ბანკი და ექსპორტის დაფინანსების კერძო კომპანია (Private Export Funding Corporation), რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის საქმეში. საინტერესო პრაქტიკა აქვს იტალიას, სადაც საერთაშორისო ვაჭრობის მხარდაჭერა ხდება სახელმწიფო საკრედიტო ინსტიტუტის (Mediocredito Centrale) მეშვეობით, რომელიც ყოველწლიურად ღებულობს დოტაციებს წარმოქმნილი ზარალის დასაფარად და კრედიტებს გასცემს დაბალ საპროცენტო განაკვეთში. საფრანგეთში ექსპორტის მხარდაჭერის ფუნქცია კომერციულ ბანკებთან ერთად შეთავსებული აქვს ქვეყნის ეროვნულ ბანკს (Banque de France). დიდ ბრიტანეთში საექსპორტო კრედიტების მხარდაჭერის პოლიტიკას საექსპორტო კრედიტებზე გარანტიების დეპარტამენტი (Export Credits Guarantee Department) ახორციელებს, ხოლო იაპონია აკავშირებს ერთმანეთს სავაჭრო გარიგებებში ჩართულ მხარეებს: მწარმოებლებს, სავაჭრო ქსელსა და სახელმწიფო დაწესებულებებს (ექსიმ ბანკები, სავაჭრო სახლები)” (მესხია, 2012).

სამეცნიერო საზოგადოებაში მუდმივი მსჯელობის საგანია - რამდენად უნდა ერეოდეს სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირებაში. აღნიშნული საკითხის ირგვლივ შექმნილია არაერთი თეორია, თუმცა ითვლება, რომ თეორიულ დონეზე დამუშავებული არგუმენტირებული დასკვნა დაიღო მე-17-18 საუკუნეებში გვიანდელი მერკანტილიზმის მიმდევრების მიერ (ა. მონკრეტიენი, თ.მენი). მათი აზრით, სახელმწიფო უნდა ეხმარებოდეს ადგილობრივ

მეწარმეებს, ცდილობდეს შრომითი დანახარჯების მინიმიზაციას და აკონტროლებდეს საექსპორტო პროდუქციის ხარისხს (Magnusson, 2012). მერკანტილისტების საპირისპიროდ, ფიზიოკრატიზმის წარმომადგენლებმა (მე-18 საუკუნის მე-2 ნახევარში) პირველად გააჟღერეს, რომ უპირატესობას ანიჭებდნენ ეკონომიკის ფუნქციონირებას სახელმწიფოს ჩარევის გარეშე (Meek, 2013). საერთაშორისო ვაჭრობაში სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობას ემხრობოდა ადამ სმიტი (ადამ სმიტი, 1938) და დავიდ რიკარდოც.

XX საუკუნის 20-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ახალი თეორიული მიდგომების ათვლის წერტილად იქცა. ამ მხრივ საინტერესოა ჯ.მ. კეინზის მიერ შემოთავაზებული ახალი კონცეფცია (ჯ.მ. კეინზი, 1948) და ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის მეთოდი, რომელიც ეფუძნება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას. მისი აზრით, სახელმწიფომ უნდა შეასრულოს აქტიური როლი ეკონომიკის სტაბილიზაციაში, რადგან საბაზრო მექანიზმები უძლურია (ცაგარეიშვილი, 2013).

საქართველოში საგარეო ვაჭრობა შესწავალილია სხვადასხვა ასპექტით. ბევრი ქართველი ავტორი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ამ საკითხებს. მათ შორის ღაღანიძე, სილაგაძე, თოქმაზიშვილი, ფუტყარაძე, ვეშაპიძე, მესხია, პაპავა, ლეკაშვილი, ასლამაზიშვილი და სხვები (იხილეთ ბიბლიოგრაფია).

რომ განვაზოგადოთ, “საერთაშორისო ვაჭრობის არსის და მისი ბუნების ახსნას ორი ერთმანეთისგან განსხვავებული თეორია ცდილობს: ლიბერალები (ჰექშერ-ოლინ-სამუელსონი) აღიარებენ ვაჭრობის ღია სისტემას” (მესხია, 2011). მათი აზრით, თავისუფალი ვაჭრობა მომგებიანია მასში მონაწილე ყველა მხარისათვის, თუმცა ყველა მხარე არაა თანაბრად მოგებული. ზოგი ეკონომისტი აღნიშნავს, რომ თავისუფალი ვაჭრობა ხელს უწყობს ქვეყნებს ძირითადი ყურადღება მიაქციონ იმ საქონლის/მომსახურების წარმოებას, რომელთა მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაც შეუძლიათ. ლიბერალური თეორიის მოწინააღმდეგენი კი თვლიან, რომ თავისუფალი ვაჭრობა მომგებიანია განვითარებული ქვეყნებისათვის ბაზრების დივერსიფიცირების გამო, განვითარებადი ქვეყნებისთვის კი მიზანშეწონილია პროტექციონიზმი. თუმცა, მეცნიერ-ეკონომისტთა უმრავლესობა თვლის, რომ პროტექციონიზმის პოლიტიკა აღარიბებს ქვეყნებს. ჟოზეფ სტიგლიცი და ენდრიუ ჩარლტონი

აღნიშნავენ, რომ მიმდინარე სავაჭრო წესები პატარა ქვეყნების საწინააღმდეგოდაა მიმართული (პიტურიშვილი, თევდორაშვილი, 2014). მიუხედავად ამისა, მსოფლიო პრაქტიკა პროტექციონიზმის პოლიტიკას არ უარყოფს და ზოგჯერ წარმატებითაც იყენებს ისეთ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია „ახალგაზრდა დარგების“ დაცვა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ პროტექციონიზმსა და თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებით სამეცნიერო საზოგადოების გაორებული დამოკიდებულების შესაბამისად წლების განმავლობაში მონაცვლეობდა მსოფლიო ეკონომიკის მიდგომა ვაჭრობის რეგულირებასთან დაკავშირებით (მესხია, 2011). აღნიშნული მიდგომების ბოლო პერიოდის ყველაზე მძაფრი გადაფასება მოხდა 2008 წლის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დროს, როდესაც მასობრივმა დერეგულაციებმა განაპირობა კრიზისის წამოწყება და გავრცელება მსოფლიო მასშტაბებზე. შესაბამისად, სამეცნიერო და ეკონომიკური საზოგადოება კიდევ ერთხელ დაფიქრდა სახელმწიფოს როლზე ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში. ბაზელის კომიტეტმაც მოახდინა რეგულაციების გადახედვა.

კრიზისის ფონზე პროტექციონისტული პოლიტიკის გამოყენება აქტიურად დაიწყო ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროში. პროტექციონიზმსა და სახელმწიფო ინტერესების გონივრულ დაცვას შორის ზღვარი ძალიან ბუნდოვანია. ეს შეიძლება დიდ პრობლემად იქცეს მსოფლიო ეკონომიკური განვითარების დინამიკისთვის. ინიციატივები აკადემიური, არაკომერციული და პოლიტიკურად დამოუკიდებელი ინსტიტუტების მხრიდან სასარგებლო იქნება მსოფლიო სავაჭრო სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად. შესაძლებელია მათ უბიძგონ სახელმწიფოებს, პროტექციონისტული ღონისძიებები გამოიყენონ როგორც უკიდურესი ზომა და არა როგორც პირველი ღონისძიება ალტერნატიული ვარიანტებიდან. სწორედ ამგვარი ქცევის თაობაზე მიუთითებდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი პასკალი ლამი. მისი შეფასებით, პროტექციონიზმის ბუნება შეიცვალა რეცესიის პერიოდში. ბევრი უმსხვილესი მოვაჭრე ქვეყანა ახორციელებს ექსპორტის ხელშეწყობის სქემებს, უბრუნდება სუბსიდიებს, იაფი კრედიტების სისტემას, საგადასახადო შეღავათებს და ექსპორტიორთა გათავისუფლებას გადასახადებისაგან. თანამედროვე პროტექციონიზმი ამით ძალიან განსხვავდება 1930-იანი წლების პროტექციონიზმისაგან, როცა

რიგ ქვეყნებში ტარიფების ზრდამ შეაფერხა მსოფლიო ვაჭრობა. ექსპორტის ხელშეწყობის აგრესიული სქემები, ერთობლივი მოთხოვნის აღდგენასთან ერთად, როგორც ჩანს, მეტია, ვიდრე დისკრიმინაციული ღონისძიებების ზრდის ჩანაცვლება (პაპაჩაშვილი, 2012).

ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ არის განხილული საფინანსო ინსტიტუტების როლი საერთაშორისო ვაჭრობაში, სადაც მათ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციად ასახელებენ საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციების დროს წარმოქმნილი რისკების დივერსიფიკაციას. ბოლდუინის აზრით, ქვეყანაში საფინანსო სისტემების გავითარების მაღალი დონე განაპირობებს მათ სპეციალიზაციას უფრო მაღალ რისკიან და ფინანსურად უფრო მომგებიან საქონელის წარმოება-რეალიზაციაზე (Baldwin, 1989). ჩაუფორი და ფაროლი განმარტავენ, რომ ვაჭრობის დაფინანსებას გააჩნია საერთაშორისო ვაჭრობის დროს წარმოქმნილი რისკების შემცირებისა და ლიკვიდურობის ერთგვარი გარანტორის ანუ გადაუხდელობის რისკისგან დაცვის ფუნქცია (Chauffour da Farole, 2009). იმისათვის, რომ არ შეფერხდეს წარმოების პროცესი და ექსპორტიორს არ მოუწიოს ლოდინი ექსპორტირებული პროდუქციის სრული საფასურის ჩარიცხვაზე, მას სჭირდება საბრუნავი კაპიტალი, რომლის დაფინანსებითაც ბანკები ამცირებენ ექსპორტირებული საქონლის ღირებულების დაუბრუნებლობის რისკს (Baker, 2003).


არსებობს რისკების სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია, თუმცა საკმაოდ საინტერესოა რისკების დიფერენციაცია საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში ჩართული მხარეების ჭრილში (კაციტაძე, 2006). “საიმპორტო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკებია: ექსპორტიორის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულების დარღვევა, ხარისხობრივად, რაოდენობრივად ან ღირებულებით ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამო საქონლის მიწოდება, მოწოდების ვადების დარღვევა, იმპორტიორის ქვეყნის ვალუტის რისკი (ვალუტის რეგულირების შემოღება და დევალვაციური პროცესები), ხოლო საექსპორტო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკებს მიეკუთვნება: მიწოდებულ საქონელზე იმპორტიორის მხრიდან აუნაზღაურებლობა ან ანაზღაურების შეფერხება, სოციალური და პოლიტიკური რისკები, ცვლილებები

იმპორტიორის ქვეყნის საგარეო-სავაჭრო რეგულირებაში, სავალუტო რეგულირების შემოღება ან ვალუტის დევალვაცია.”

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში თანმხლები რისკების სწორად გაანალიზება და მათი მინიმიზაცია როგორც ექსპორტიორის, ასევე იმპორტიორისათვის ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს. ტრანზაქციული რისკების გარდა (კონკურენტული პოზიციის შენარჩუნება, ინფორმაციის მართვა, თაღლითობებისა და ბიზნესში დაშვებული შეცდომების საფრთხე), საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებულია სხვა მრავალი რისკი. გრატის მიერ წარმოდგენილი რისკების სტრუქტურა მოცემულია ნახაზში #1.1.1 (Grath, 2008).

პროდუქტთან დაკავშირებული რისკი (product risk) გულისხმობს პროდუქციის დაზიანებისა და ხარისხის გაუარესების პოტენციურ საფრთხეს. პროდუქტის ვარგისიანობას საერთაშორისო ბაზარზე რეალიზაციისათვის განსაზღვრავს შემდეგი დეტალები: რამდენად გამოყენებადია სხვა პროდუქტის საწარმოებლად და სასიცოცხლო ციკლის რომელ ეტაპზე იმყოფება პროდუქტი (Iosh, 2002).

ნახაზი 1.1.1 საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები



წყარო: Grath (2008:11)

საწარმოო რისკი (production risk) ძირითადად ეხება სპეც-შეკვეთის ან სპეციფიური მახასიათებლების მქონე პროდუქტს, რომლის გაყიდვაც სხვა ალტერნატიულ მყიდველზე ვერ მოხერხდება იმ შემთხვევაში, თუკი შემკვეთი იტყვის უარს შეძენაზე პროდუქტის შეძენაზე (Grath, 2008).

სატრანსპორტო რისკი (transport risk) დაკავშირებულია საქონლის ფიზიკურ გადაადგილებასთან ექსპორტიორიდან იმპორტიორამდე. გადასაზიდი ობიექტის დანაკარგის ან დაზიანების რისკის შემცირების საკითხში ერთვება სადაზღვევო კომპანია. ტვირთების დაზღვევა შეიძლება ასევე მოიცავდეს ისეთ რისკებს როგორცაა: ტვირთის დაზიანებისა და განადგურების რისკები, საწყობებსა და განსაკუთრებულ ტემპერატურულ რეჟიმში ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებული რისკები, ავარიასთან დაკავშირებული ხარჯები, ტვირთის გადასარჩენად, ზარალის შესამცირებლად გაწეული ხარჯები და ა.შ. სატრანსპორტო რისკი დაკავშირებულია საქონლის ფიზიკურ გადაადგილებასთან ექსპორტიორიდან იმპორტიორამდე. გადასაზიდი ობიექტის დანაკარგის ან დაზიანების რისკის შემცირების საკითხში ერთვება სადაზღვევო კომპანია. ტვირთების დაზღვევა შეიძლება ასევე მოიცავდეს ისეთ რისკებს როგორცაა: ტვირთის დაზიანებისა და განადგურების რისკები, საწყობებსა და განსაკუთრებულ ტემპერატურულ რეჟიმში ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებული რისკები, ავარიასთან დაკავშირებული ხარჯები, ტვირთის გადასარჩენად, ზარალის შესამცირებლად გაწეული ხარჯები და ა.შ.

საერთაშორისო ვაჭრობაში კომერციული რისკი ცნობილია, როგორც მყიდველის რისკი (commercial risk/buyer risk), რომელიც შეიძლება განპირობებული იყოს 2 მიზეზით: მყიდველმა გადაიფიქრა პროდუქტის შეძენა ან საექვოა მისი გადამხდელუნარიანობა (Export Import Online Tutorial). ასეთ შემთხვევებში ექსპორტიორები ხშირად მიმართავენ ბანკებს ან საკრედიტო ბიუროებს მყიდველის გადამხდელუნარიანობის გადასამოწმებლად. გადაუხდელობის რისკის დასაზღვევად აქტიურად გამოიყენება ექსპორტის საკრედიტო დაზღვევა – ECI (Jinn, 2004), რომელიც იცავს ექსპორტიორს უცხოელი მყიდველის გადაუხდელობის რისკისგან (მათ შორის გაკოტრება, გაჭიანურებული გადახდა). ECI ექსპორტიორს აძლევს პირობით დაზღვევას უცხოელი მყიდველის მხრიდან გადაუხდელობის შემთხვევაში თანხის ანაზღაურებაზე. ECI

აგრეთვე მოიცავს ვალუტის კონვერტაციის შეუძლებლობასა და ცვლილებებს ექსპორტის და იმპორტის წესებში. ECI საშუალებას აძლევს ექსპორტიორებს შესთავაზონ უცხოელ მყიდველებს ღია ანგარიშის პირობები გადაუხდელობის მინიმალური რისკით ((Business Development Center, 2017).

პოლიტიკური რისკი (political risk) ხშირად განპირობებულია ქვეყნის პოლიტიკური თუ ეკონომიკური არასტაბილურობით, რაც თავისთავად ქმნის გადაუხდელობის საფრთხეს (Eaton, Gersovitz, Stiglitz, 1986). ეკონომიკური თვალსაზრით, გადახდების დაყოვნება იწვევს უცხოური ვალუტის ნაკლებობას, ამცირებს ქვეყნის შემოსავალს და ზრდის უმუშევრობის მაჩვენებელს. პოლიტიკური რისკის საშიშროების წინაშე ყველაზე მეტად დგანან განვითარებადი ქვეყნები და ექსპორტის საკრედიტო დაზღვევა (ECI) ასევე წარმატებით გამოიყენება ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობით გამოწვეული რისკების შესამცირებლად (ITRISA, 2007), თუმცა არა საქართველოში.

სავალუტო (Currency risks) კურსების ცვლილების რისკის დაზღვევა განსაკუთრებით აქტუალურია საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული კომპანიებისთვის, რადგან სავალუტო რისკი მნიშვნელოვნად ართულებს კომპანიებისთვის ეკონომიკური დაგეგმვის პროცესს და საპროგნოზო ფინანსური შედეგის განსაზღვრას. თუკი განვიხილავთ ვალუტის კურსის ცვლილების ზემოქმედებას სავაჭრო და მთლიანად საგადასახდელო ბალანსზე, „სხვა თანაბარ პირობებში ეროვნული ვალუტის კურსის უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში გაუფასურება აიაფებს ქვეყნის ექსპორტს და აძვირებს მის იმპორტს. ანუ, ვალუტის კურსის შემცირება (გამყარება) ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საშუალებით ახდენს სამეწარმეო აქტივობისა და ექსპორტის სტიმულირებას. ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურების პირობებში იმპორტული საქონელი ხდება ძვირი და მომხმარებელი არჩევანს აკეთებს ეროვნულის სასარგებლოდ და პარალელურად ექსპორტი იაფდება უცხოეთში. პირიქით, ეროვნული ვალუტის კურსის გაძვირება უფრო მიმზიდველს ხდის იმპორტს და აძვირებს ექსპორტს. კურსის ასეთი ზემოქმედება ექსპორტისა და იმპორტის მოცულობაზე წარმოადგენს საგადასახდელო ბალანსის რეგულირების საფუძველს“ (ბეშქენაძე, 2017) იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო ვაჭრობის დროს ანგარიშსწორება არ არის მომენტალური და

ამერიკის განვითარების ბანკის ჯგუფში შემავალი (Inter-American Development Bank Group - IDB Group) ამერიკის საინვესტიციო კორპორაცია (Inter-American Investment Corporation – IIC) ახორციელებს ლათინური ამერიკისა და კარიბის ბანკების (LAC) ფინანსურ მხარდაჭერას. ვაჭრობის დაფინანსების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში (The Trade Finance Facilitation Program - TFFP) მიმდინარეობს სესხების, გარანტიებისა და საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება დაახლოებით 21 ქვეყნისთვის და პროგრამის პარტნიორი ბანკების რაოდენობა აღემატება 300-ს. თუკი შევხედავთ TFFP პროგრამის მაჩვენებლებს ქვეყნების ჭრილში, 2015 წელს არგენტინის, ბაჰამისა და ბრაზილიის სავაჭრო ტრანზაქციების 58.7% დაფინანსებული იყო აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. გვატემალა, ჰონდურასი და ეკვადორი წარმოდგენილი გახლდათ 26.5%-ით, რომელსაც მოჰყვება ჩილე, პანამა და პარაგვაი 12.7%-ით. მოცულობის მხრივ, პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ტრანზაქციების 51.9%-ს შეადგენდა ექსპორტი, ხოლო 48.1%-ს – იმპორტი. დაფინანსებული ტრანზაქციების 77.2% ხორციელდებოდა ლათინური ამერიკისა და კარიბის ქვეყნებს შორის (LAC), 22.8% კი - აღნიშნული ქვეყნების ფარგლებს გარეთ.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამა (Trade Facilitation Programme - TFP) ორიენტირებულია საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნებში (SEMED). პროგრამის ფარგლებში ხდება სავაჭრო ტრანზაქციების პოლიტიკური და კომერციული საგადამხდელო რისკების დაფარვა. პროგრამაში ჩართულია 27 ქვეყნის 100 გამცემი (issuing bank) და 800 მიმღები ბანკი (confirming bank). TFP-ის შექმნიდან 1999-2015წწ განხორციელდა 18300 საერთაშორისო სავაჭრო ტრანზაქცია 12.8 მლრდ ევროს მოცულობით და 2015 წელს ფინანსური ჟურნალის “Euromoney Trade Finance Magazine and Global Trade Review” მკითხველებმა EBRD დაასახელეს “ვაჭრობის განვითარების საუკეთესო ბანკად”. 2015 წელს TFP-ის მიერ დაფინანსდა 1035 სავაჭრო ტრანზაქცია (868 მლნ ევრო). შედეგი შემცირებულია 2014 წლის მონაცემებთან შედარებით (1756 ტრანზაქცია, 1.3 მლრდ. ევრო), რაც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

- საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის მონაცემები მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ყველაზე დაბალ ნიშნულზე დაფიქსირდა (1.7%).
- ეკონომიკური გარემოსა და ბიზნეს ინვესტირების შესუსტებამ EBRD-ის კონტრაქტორ ქვეყნებში შეამცირა მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე
- TFP-ის პარტნიორი ბანკები საუბრობდნენ ახალ საკრედიტო რისკებზე, რამაც შეამცირა მოთხოვნა უცხოური კომერციული ბანკებიდან დაფინანსებაზე.

საქართველო EBRD-ს შემოუერთდა 1992 წლის 4 სექტემბრიდან და დღემდე განორციელებულია 205 პროექტი, 2.874 მილიონი ევროს ინვესტიცია, 1.638 მილიონი ევროს გაცემები, რომლის პორტფელშიც 80%-ს შეადგენს კერძო სექტორის წილი და 719 მლნ ევროს პორტფელი, საიდანაც 29% (208 მლნ ევრო) გამოყოფილია საფინანსო ინსტიტუტებისათვის.

საქართველოში EBRD ძირითადად ფოკუსირებულია კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე ინოვაციური პროექტების განვითარების გზით, ხელს უწყობს DCFTA-ს სტანდარტებისა და ვალდებულებების შესრულებას, ახორციელებს მცირე და საშუალო ბიზნესის და კერძო სექტორის ხელშეწყობას კარგად განვითარებული ადგილობრივი საბანკო სექტორის მეშვეობით, ადგილობრივი ვალუტისა და კაპიტალის ბაზრების განვითარების კუთხით, რაც საქართველოს მისცემს შესაძლებლობას გამოიყენოს თავისი გეოგრაფიული პოზიცია სამხრეთ კავკასიაში, ცენტრალურ ევროპასა და აზიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ EBRD-ის ვაჭრობის დაფინანსების პროგრამის 93% მოდის საიმპორტო ოპერაციების სუბსიდირებაზე, თუმცა პროგრამა აქტიურად მუშაობს საექსპორტო ტრანზაქციების დაფინანსების მიმართულებითაც. იქიდან გამომდინარე, რომ EBRD ჯერ კიდევ მოკლევადიან დაკრედიტებაზეა ორიენტირებული, მის სამომავლო გამოწვევას წარმოადგენს გრძელვადიანი დაკრედიტებაზე ორიენტაცია.

ისლამის საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების კორპორაცია (International Islamic Trade Finance Corporation - ITFC) ოპერირებს 2008 წლიდან დაწარმოდგენილია 57 ქვეყანაში (31.5 მლრდ აშშ დოლარი). პროგრამა ძირითად აქცენტს აკეთებს ხორბლის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის დაფინანსებაზე აფრიკისა და აზიის ქვეყნებში (მალი, ნიგერია ა.შ).

აზიის განვითარების ბანკი (Asian Development Bank - ADB) გარანტიებითა და სავაჭრო კრედიტებით უზრუნველყოფს 200-მდე ბანკს (23.1 მლრდ. აშშ დოლარი). აღნიშნული პროგრამის მიერ 2015 წელს დაფინანსდა 1400-მდე SME კომპანია, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტიპის კომპანიები სამუშაო ადგილების ძირითადი შემქმნელები არიან. აზიის განვითარების ბანკს 2016 წლისთვის წარმოდგენილი ჰქონდა ვაჭრობის დაფინანსების ახალი პროექტი - Funded Risk Participation Agreement (FRPA), რომელიც გულისხმობს პარტნიორ ფინანსურ ინსტიტუტთან საერთაშორისო სავაჭრო ტრანზაქციის რისკების 50-50%-იან გადანაწილებას. ტრანზაქციის დასრულების შემდგომ უკან დაბრუნებული თანხით სრულდება კიდევ ახალი ტრანზაქციის დაფინანსება.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკის შესუსტებული მდგომარეობისა, 2015 წლის მონაცემებით კომერციული ბანკების 75% კვლავ მნიშვნელოვნად მიიჩნევდა საერთაშორისო განვითარების ბანკების როლს ვაჭრობის დაფინანსების ხელშეწყობის საქმეში. რაც შეეხება უშუალოდ კომერციულ ბანკებს, საერთაშორისო ვაჭრობაში მათი როლი განისაზღვრება ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, დოკუმენტური ოპერაციების წარმოებითა და სავალუტო თუ სხვა რისკების ჰეჯირების ინსტრუმენტების შეთავაზებით. შესაბამისად, დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურია ვაჭრობის დაფინანსებისა და რისკების მინიმიზაციის საკითხებში ბანკების ჩართულობა, რადგან სწორედ საბანკო არხებით ხორციელდება საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა დიდი ნაწილის მართვა და მომსახურება, რომელიც მოიცავს: “უცხოური ვალუტით ვაჭრობას (სავალუტო-საკასო გარიგებებს, ვადიან სავალუტო ვაჭრობას, სავალუტო ოფციონებს, ანგარიშსწორების ოპერაციებს (დოკუმენტურ და წმინდა გადახდებს), დაფინანსებას (კრედიტები მიმწოდებლებზე, რესურსების გამოყოფა დამზადების პერიოდსა და ტრანსპორტირებას შორის არსებულ პერიოდში სახსრების შესავსებად), სხვადასხვა საბანკო მომსახურებებს (სინდიცირებული სესხები, გარანტიები საიმპორტო და საექსპორტო გარიგებებზე და ა.შ.)” (კაციტაძე, 2006).

საქართველო ასევე თანამშრომლობს შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკთან (BSTDB) და 28 გაცემული პროექტიდან (დაახლოებით 273.5 მლნ ევრო) 83% გაცემულია

ფინანსურ ინსტიტუტებზე, რომლებიც თავის მხრივ ფინანსურ დახმარებას უწევენ კომპანიებს ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ოპერირებადი ბანკებიდან 10 ბანკს უკვე მოპოვებული აქვს დაფინანსება BSTDB-სგან.

საქართველოში მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტები გაყოფილია 2 ნაწილად: შიდა განვითარების ასოციაცია (The International Development Association (IDA) credits), რომელიც აფინანსებს ქვეყნის განვითარების მიმართულებით არსებულ სტრატეგიულ პროექტებს რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხებით. სწორედ ვაჭრობის ხელშეწყობისა და ბაზრის გაუმჯობესების მიზნით საქართველოში დამტკიცებულია 12 პროექტი 827 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.

საინტერესო მასალაა ევროკავშირის 2014-2020 წლის სამოქმედო გეგმა ბიზნესის დაფინანსების თვალსაზრისით, რომელიც დეტალურადაა განხილული სტატიაში “ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტები მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად: ევროპული გამოცდილება” (ასლამაზიშვილი, 2015). კერძოდ:

სტანდარტულად, ევროკავშირის პრაქტიკაში ბიზნესის პირდაპირი დაფინანსება არ ხდება. ეს ხორციელდება ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ ორგანოებთან თანამშრომლობითა და ფინანსური შუამავლების მეშვეობით, გადაწყვეტილებას ევროკავშირის ფინანსების გაცემაზე ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები იღებენ და თავადვე განსაზღვრავენ დაფინანსების პირობებს (თანხის მოცულობა, ხანგრძლივობა, საპროცენტო განაკვეთები ა.შ). დღეისათვის ევროკავშირის ყველაზე მასშტაბური პროგრამებია: პერსპექტივა 2020 (Horizon 2020), ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდები (ESIF) და მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობა (COSME).

წინა საბიუჯეტო წლების პროგრამებისაგან განსხვავებით, 2014-2020 წლების ფინანსური ინსტრუმენტები რიგი სიახლეებითა და უპირატესობებით ხასიათდება, რასაც უფრო მეტი მოქნილობა შეაქვს მათ გამოყენებაში და მეტ თავისუფლებას აძლევს წევრ ქვეყნებს თავიანთი პროგრამების შემუშავებისას:

- ფინანსური ინსტრუმენტები არ არის გაწერილი კონკრეტულ სექტორებზე, ბენეფიციარებსა და პროექტების ტიპებზე. მათი გამოყენება შესაძლებელია ისინი თემატური მიზნების მიხედვით;
- ფინანსური ინსტრუმენტების ახალი მექანიზმი მოიცავს სხვა სახეობებთან (მაგ. გრანტებთან) მათი კომბინირებული გამოყენების შესაძლებლობას;
- გათვალისწინებულია ფინანსური ინსტრუმენტების მაქსიმალური მოქნილობა (მორგება ბაზრის წარუმატებლობაზე, ნაკლებად ოპტიმალურ საინვესტიციო გარემოზე, კერძო სექტორის შესაძლო მონაწილეობაზე და სხვა)

პერპექტივა 2020-ის ერთ-ერთ საინტერესო სიახლეს წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების კიდევ ერთი ინსტრუმენტი სარისკო ფინანსებზე წვდომაა (უკუგების არმილების დიდი ალბათობა) (ასლამაზიშვილი, 2015 და Horizon 2020). მისი მიზანია, დაეხმაროს საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებს მიიღონ ფინანსები სესხების, გრანტებისა და კაპიტალის დაფინანსების მეშვეობით ტექნოლოგიის გადაცემის, კვლევებისა და ინოვაციების მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ამ მხრივაც არ არის სახარბიელო მდგომარეობა, რადგან კომერციული ბანკები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი გასცენ მაღალ რისკიანი სესხები ბიზნესის და კონკრეტულად საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებისათვის. უფრო მეტიც, კრედიტების მაქსიმალური ვადა შემოსაზღვრულია 7წლით, რაც აფერხებს ბიზნესს, რომ აიღოს მეტი ვალდებულება ბანკიდან.

ევროკავშირში ბიზნესის დაფინანსების გარდა, ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდების (ESIF) და დასაქმებისა და სოციალური ინოვაციების პროგრამის (EaSI) ფარგლებში ფუნქციონირებს Fi-ცომპასს (fi-compass, 2017) - ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ საკონსულტაციო მომსახურების უნიკალური პლატფორმა, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს აძლევს სპეციფიკურ რჩევებს სხვადასხვა ფონდების ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ და საგანმანათლებლო პაკეტს (სემინარი, ელ. სწავლება).

რაც შეეხება COSME-ს, იგი 2014-2020 წლების ევროკავშირის კიდევ ერთი მასშტაბური პროექტია, საწარმოებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის პროგრამაა,

რომელიც ასევე ემსახურება სესხებისა და საკუთარი კაპიტალის დაფინანსების ხელმისაწვდომობას. COSME-ს ფინანსური ინსტრუმენტებია (European Commission, COSME financial instruments):

- სესხების გარანტიის საშუალებები (LGF-The Loan Guarantee Facilities), რომელიც ითვალისწინებს ფინანსური შუამავლებისათვის გარანტიების მიცემას, რათა მათ შეძლონ მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება;
- საკუთარი კაპიტალის დაფინანსება ზრდის მიზნებისათვის (EFG-The Equity Facilities for Growth) - დაფინანსება გათვალისწინებულია ინოვაციებზე ორიენტირებული ფირმების დაფინანსებისათვის (4 მლრდ ევროს ფარგლებში).

ერთი რამ ცხადია, რომ ევროკავშირი წლიდან წლამდე განვითარებასა და ინოვაციებზე ხარჯავს სულ უფრო მეტს, აუმჯობესებს ფინანსური ინსტრუმენტების ხარისხს და აიოლებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მექანიზმებს. აღნიშნულ სფეროში ევროპაში დაგროვილი გამოცდილების გამოყენება საუკეთესო საშუალებაა ჩვენი ქვეყნისათვის განვითარებისა და ინოვაციების ხელშეწყობისკენ მიმავალ გზაზე (ასლამაზიშვილი, 2015).

სახელმწიფოს როლი ვაჭრობის დაფინანსების ხელშეწყობის მიმართულებით. საქართველოში ვაჭრობის დაფინანსების ტენდენციებზე მსჯელობისას საინტერესო წყაროს წარმოადგენს ეკონომიკის სამინისტროს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, სადაც მკაფიოდაა განმარტებული ამ ტიპის კომპანიების როლი და მნიშვნელობა და SWOT ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სამოქმედო გეგმა, სადაც აქცენტი გაკეთებულია ფინანსების ხელმისაწვდომობაზე. სტრატეგია შემუშავდა ორგანიზაციებთან თანამშრომლობითა და მათი მხარდაჭერით (საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია, 2016-2020 წწ.).

სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები (SME), მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში, ხელს უწყობენ ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას და განსაკუთრებულ

როლს ასრულებენ ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. განვითარებულ ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები ქმნიან სამეწარმეო სექტორის მთლიანი ბრუნვის 50%-ზე მეტს, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში კი საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტს, თუმცა მათი წილი მშპ-ში ზოგადად საკმაოდ დაბალია (20%-ზე ნაკლები)(European Commission, 2010. Dialogue on «SME Policy» with regard to the multilateral framework of the Eastern Partnership).

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირების, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესება და კორუფციასთან ბრძოლა. ამ რეფორმების შედეგად, საქართველომ ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ და შესაბამისი შედეგები აისახა იმ ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც ფასდება ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის “საქართველო 2020”-ის მიხედვით ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის 3 უმნიშვნელოვანეს კომპონენტს შორის, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ფინანსებზე ხელმისაწვდომობა – კერძოდ, საინვესტიციო რესურსების მობილიზება და ფინანსური შუამავლობის განვითარების ხელშეწყობა. სამთავრობო პროგრამებში ასევე ხაზგასმულია მეწარმეობის მხარდაჭერის, დამწყები მეწარმეობის (start-ups) განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა. აღნიშნული მიდგომის საფუძველზე აქტიურობა დაიწყეს კომერციულმა ბანკებმა, რომლებიც ე.წ. “სტარტაპერებს” სთავაზობენ საინტერესო და ინოვაციურ პროდუქტებს და საგანმანათლებლო პროგრამებს მაშინ, როდესაც სულ რამოდენიმე წლის წინ დამწყები ბიზნესის დაფინანსება საკმაოდ რისკიან საქმედ მიიჩნეოდა და ფაქტიურად არც კი განიხილებოდა ამ ტიპის

ბიზნესების დაფინანსება, თუმცა ფაქტია, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები ჩვენს ქვეყანაში.

თუ გადავხედავთ საქართველოში განხორციელებული რეფორმების შედეგებს ბოლო წლების განმავლობაში, დავინახავთ, რომ მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული ქვეყნის საინვესტიციო და ბიზნესგარემო შემცირებულია ადმინისტრაციული ბარიერები და გაუმჯობესებულია სახელმწიფო სერვისები:

- “საგადასახადო პოლიტიკა: გადასახადების რაოდენობა და განაკვეთები მნიშვნელოვნად შემცირდა, აგრეთვე გაუმჯობესდა საგადასახადო ადმინისტრირება. ფორბსის 2009 წლის “Tax Misery and Reform Index”-ის მიხედვით საქართველო მსოფლიოში საგადასახადო ტვირთის სიმცირის მიხედვით მე-4 ქვეყანაა.
- საბაჟო პოლიტიკა: მნიშვნელოვნად გამარტივდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული პროცედურები და საგრძნობლად შემცირდა შესაბამისი ხარჯები. იმპორტის ტარიფები გაუქმდა პროდუქტების დაახლოებით 85%-ზე და ამჟამად მოქმედებს მხოლოდ 3 სატარიფო განაკვეთი, ნაცვლად ადრე მოქმედი 16-სა. DCFTA-ის ძალაში შესვლის შემდგომ, ვაჭრობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხორციელდება ტარიფების გარეშე.
- ლიცენზიები და ნებართვები: 2005 წლიდან ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა დაახლოებით 90%-ით შემცირდა. მნიშვნელოვნად გამარტივდა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცედურები, შემოღებულ იქნა „ერთი სარკმლის“ პრინციპი.
- სახელმწიფო მმართველობა: სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობის პროცედურები, მათ შორის, ბიზნესთან დაკავშირებული მომსახურება ხორციელდება „ერთი სარკმლის პრინციპით“. მომსახურების უმრავლესობის მიღება შესაძლებელია ელექტრონულად. იუსტიციის სახლებში ერთ სივრცეში ხდება დაახლოებით 400 დასახელების მომსახურების მიწოდება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სასურველი მომსახურების მიღებასთან დაკავშირებულ დროს, ხარჯებს და კორუფციის რისკს. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ე.წ. “ბიზნეს სახლის” მოდელის შექმნა, რომელიც ბიზნესისთვის საჭირო სერვისებს ასევე “ერთი სარკმლის” პრინციპით მიაწვდის კომპანიებს.“

მცირე და საშუალო მეწარმეობის (მათ შორის პოტენციურად ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების) ხელშეწყობის მიმართულებით საქართველოში ფუნქციონირებს სხვადასხვა ინსტიტუტები. კერძოდ:

- „მეწარმეობის განვითარების სააგენტო და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო - მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების ერთადერთ მაკოორდინირებელ სტრუქტურას საქართველოში. მისი ძირითადი მიზნებია: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება დამწყები ბიზნესების მხარდაჭერა, ექსპორტის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა, ბიზნესის ადაპტაცია DCFTA-ის მოთხოვნებთან, საექსპორტო ბაზრებზე არსებული მოთხოვნისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მეწარმეთათვის, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ა.შ.
- საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო - ცოდნასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდამჭერი ძირითადი უწყება, რომლის მიზანია: ინოვაციების, თანამედროვე ტექნოლოგიების, კვლევისა და განვითარების (R&D) სტიმულირება, მათი კომერციალიზაცია, სტარტ-უპ კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და სამეცნიერო და ბიზნეს წრეებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა.
- მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი მიმართულება კომპანიებისთვის DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის ხელშეწყობაა, რისთვისაც დაგეგმილია DCFTA-ს 5 საინფორმაციო ცენტრის გახსნა, სადაც მოხდება მოქალაქეებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის DCFTA-სთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება და მათინიციატივების შეგროვება” (საინფორმაციო პორტალი “ბიზნეს კონტრაქტი”, 2016).
- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ფუნქციებია საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, ექსპორტის, ბიზნესის დაგეგმვის უნარების გაუმჯობესება და საწარმოების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს ასოციაციებს თავადაც ესაჭიროებათ მეტი კოორდინაცია ევროკავშირის პოლიტიკასა და DCFTA-ის მოთხოვნებთან, რათა ხელი შეუწყონ მეწარმეებს ამ მოთხოვნებთან ადაპტაციაში. ამასთან, მნიშვნელოვანია როგორც ასოციაციებს შორის ურთიერთობების გაღმავება და ინფორმაციის მიმოცვლა, ასევე მათი მხრიდან მეწარმეებთან მეტი ინტერაქცია.

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ - ითვალისწინებს ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის მიმართულებით მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერას, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობას და საექსპორტო პოტენციალის ზრდას ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით. პროგრამის ეფექტიანი განხორციელების მიზნით შეიქმნა სპეციალური ვებგვერდი (www.qartuli.ge).

საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის SME ბიზნესის პანელში და თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან მეწარმეობისა და ვაჭრობის საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. მეწარმეობის ზრდის პროგრამის (EGP) და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურების (BAS) პროგრამების ფარგლებში, რომელიც ხორციელდება EBRD-ის მიერ, 800-ზე მეტ მცირე და საშუალო მეწარმეს გაეწია მხარდაჭერა. საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის East-Invest პროექტში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლისთვის საპარტნიორო ფონდის მიერ დაანონსებული იყო ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტოს შექმნა, რომელიც იტალიური ფინანსური მომსახურების საკმაოდ წარმატებულ კომპანია SACE-სთან კონსულტაციით უნდა განხორციელებულიყო, თუმცა ამ ეტაპამდე ჯერ კიდევ არ არის ეს პროექტი გაშვებული. მიზანშეწონილია, რომ მაქსიმალურად დაჩქარდეს საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული და კონკრეტულად ექსპორტის ხელშეწყობის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, რაც ცალსახად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაციისა და ხელშეწყობის საქმეში.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის მაისში მიუხედავად ექსპორტის სააგენტოს შექმნის დაანონსებისა, მთავრობის მიერ ასევე დაანონსდა ახალი ინიციატივა საგარანტიო ფონდის შექმნასთან დაკავშირებით. არსებობს მოსაზრება, რომ ახალი ინიციატივის ფარგლებში მცირე და საშუალო ბიზნესი კვლავ პროტექციონისტული პოლიტიკის სამიზნე გახდება. ინიციატივა ჯერ მხოლოდ დამუშავების ეტაპზეა, შესაბამისად, ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი ან მხოლოდ სამუშაო მონახაზის დონეზეა პასუხები მთავარ კითხვებზე: რა იქნება ფონდის კაპიტალიზაციის მთავარი წყარო, როგორი იქნება მართვისა და ადმინისტრირების სტრუქტურა, რა პირობებით გაიცემა გარანტია. ამ კითხვებზე პასუხები ჯერ მხოლოდ გლობალური მაგალითების განზოგადების საფუძველზე შეგვიძლია მოვიძიოთ. ამ ეტაპზე საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს თურქეთთან, როგორც ამ რეფორმის ერთ-ერთ წარმატებულ განმახორციელებელ ქვეყანასთან (იმ პერიოდისთვის მიიღო 7%-იანი ეკონომიკური ზრდა, სადაც 2%-მდე ზრდაში წვლილი სწორედ საგარანტიო ფონდმა შეიტანა), თუმცა გასათვალისწინებელია, რომ რეფორმის კოპირება გამოსავალი არ არის და საჭიროა ყველა დეტალი ინდივიდუალურად მოერგოს ქვეყნის საჭიროებებს.

მსოფლიო პრაქტიკა ჯერ-ჯერობით საგარანტიო ფონდის 4 მთავარ ტიპს იცნობს:

- სახელმწიფო სქემები – სადაც წამყვანი როლი აქვს საჯარო სექტორს და სახელმწიფო სუბსიდირებას
- კორპორატიული ფონდები, სადაც წამყვანი როლი აქვს კერძო სექტორს (ბანკებს ან სავაჭრო პალატებს)
- საერთაშორისო სქემები, სადაც წამყვანი როლი აქვს ორმხრივ და მრავალმხრივ ინიციატივებს მთავრობასთან და არასამთავრობო სექტორთან ერთად, რაც ასევე მოიაზრებს საერთაშორისო დონორების ჩართულობასაც
- ერთობლივი საგარანტიო ასოციაციები, სადაც წამყვანი როლი აქვს იმ დარგის მოთამაშეებს, სადაც რთულად ან საერთოდ არ მიუწვდებათ ხელი კრედიტზე, შესაბამისად ფონდებისსახით ერთიანდებიან და ფონდსაც ძირითადად საწევრო შენატანებით ავსებენ, თუმცა ხშირად მათ სახელმწიფო ასევე ეხმარება სუბსიდიითაც.

რაც შეეხება კონკრეტულად თურქეთს, ის სახელმწიფო სქემას ეყრდნობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ფონდის გარანტიებს ზურგს ძირითადად სახელმწიფო ხაზინა უმაგრებს. 2017 წლის მონაცემებით, თურქეთის მიერ გაცემული გარანტია 201 მლრდ ლირას, ანუ 58 მლრდ აშშ დოლარზე მეტს შეადგენს, 310 ათასი მეწარმიდან ვინც ფონდის დახმარებით სესხები აითვისა 75% მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტია. სტატისტიკის კიდევ უფრო დეტალური ანალიზი აჩვენებს, რომ მთლიანი კაპიტალის 56% ახალი ბიზნესების დაფინანსებისკენ იყო მიმართული. თურქეთის მთავრობის მთავარი არგუმენტი ის არის, რომ რადგან ფონდი სრულად ან ნაწილობრივ ფარავს ბანკის სესხს იმ შემთხვევაში, თუკი მსესხებელი ვეღარ იხდის, ფინანსური შუამავლის რისკი მინიმუმამდე დადის, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკა უფრო სწრაფად უნდა გაიზარდოს. თუმცა მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო მედიის, მათ შორის ბლუმბერგის და როიტერსის მასალებიდან ჩანს, რომ რეფორმას შესაძლოა არასასიამოვნო გვერდითი ეფექტებიც ჰქონდეს (ინფლაციის გაზრდილი დონე, საპროცენტო განაკვეთების ზრდა, საგარანტიო ფონდი - როგორც კომერციული ბანკების გამდიდრების ერთ-ერთი მთავარი წყარო) (მედიასაშუალება “ბიზნეს მედია ჯორჯია, 2018).

აქვე არსებობს მოსაზრება, რომ საგარანტიო ფონდი ჩაანაცვლებს 2015 წელს დაანონსებულ ექსპორტის დაკრედიტო სააგენტოს, რომლის შესაქმნელად საპარტნიორო ფონდის მხრიდან უკვე საკმაოდ დიდი თანხებია გადახდილი იტალური საერთაშორისო კომპანია SACE-სთვის. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ექსპორტის დაკრედიტების სააგენტოს მხოლოდ ფუნქციების მხოლოდ ერთი ფრაგმენტი გახლდათ უზრუნველყოფის პრობლემის მოგვარება, რასაც პირდაპირ მოემსახურება საგარანტიო ფონდი. შესაბამისად, საინტერესოა, ახალი ინიციატივის ფარგლებში ხომ არ დაიკარგება ექსპორტის დაკრედიტების სააგენტოს არაერთი სხვა საინტერესო და საჭირო ფუნქცია ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით.

საინტერესოა წყაროა ასევე საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგია, სადაც წარმოდგენილია მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის SWOT ანალიზი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სექტორის სუსტ მხარეებში მოიაზრება: სამეწარმეო უნარებისა და გამოცდილების ნაკლებობა, კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის დაბალი დონე, ფინანსებსა და გრძელვადიან საინვესტიციო

რესურსებზე შეზღუდული წვდომა, ინოვაციებისა და კვლევების (R&D) დაბალი დონე, კვლევითი ინსტიტუტებისა და კერძო სექტორის არასაკმარისი თანამშრომლობა, საკონსულტაციო მომსახურების მაღალი ღირებულება, ექსპორტისა და ინტერნაციონალიზაციის შეზღუდული შესაძლებლობა, და ბიზნესის დახურვის სირთულე. რაც შეეხება საფრთხეებს, აქ თავალსაჩინოა განვლილი გლობალური ეკონომიკური კრიზისის გავლენა და ძირითად საფრთხედ დასახელებულია საგარეო ეკონომიკური ფაქტორები (ფინანსური კრიზისი, საგარეო ბაზრებზე მოთხოვნის შემცირება). გარდა ამისა, აღნიშნული სექტორისთვის საფრთხეებად მოაზრება: ეკონომიკური ზრდის შესაძლო შენელება, ინვესტიციების დაბალი დონე, არასაკმარისი საექსპორტო შესაძლებლობები, DCFTA-სშესახებინფორმირებულობისა და მის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაბალი დონე, საექსპორტო ბაზრებზე არსებული მოთხოვნების არასაკმარისი ცოდნა და ბიზნეს-საგანმანათლებლო პროგრამებში მცირე და საშუალო სექტორის ნაკლები ჩართულობა.

ამასთანავე, საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერებისა და დადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის განსაზღვრულია შემდეგი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები:

1. საკანონმდებლო, ინსტიტუციური დასამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება
2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება
3. მეწარმეობის უნარების განვითარება
4. ექსპორტის ხელშეწყობა და საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია
5. ინოვაციებისა და კვლევების განვითარების ხელშეწყობა.

ზემოაღნიშნული სტრატეგიული მიმართულებებიდან სადისერტაციო ნაშრომის თეორიული კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სტრატეგია ქვეყნის სწორ მიმართულებას განსაზღვრავს და ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, თუმცა ამ კუთხით ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო.

როგორც კომერციული ბანკების, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ მაღალია მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. მიუხედავად ბოლო 10 წლის განმავლობაში (2005-2015) კომერციული ბანკებში გრძელვადიან

სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებისა, ის კვლავ მაღალია მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. გარდა ამისა, მათ ხშირ შემთხვევაში არ აქვს შესაძლებლობა დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები (რომელიც რიგ შემთხვევაში გასაცემი სესხის 100%-ს აღემატება). არ გააჩნიათ საკმარისი ცოდნა კაპიტალის ზრდის ინსტრუმენტებსა (fund rising) და ალტერნატიული დაფინანსების წყაროებზე (მათ შორის, კერძო და ვენჩურული კაპიტალის ფონდებზე). შესაბამისად, მნიშვნელოვანია როგორც დაფინანსების ალტერნატიული წყაროების განვითარების ხელშეწყობა, ასევე, მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების, მათ შორის ალტერნატიული წყაროებიდან ფინანსების მოზიდვასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობა მეწარმეობის და ვაჭრობის დაფინანსების საქმეში (72 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია), თუმცა მაინც არსებობს კომუნიკაციის ნაკლებობა კერძო სექტორთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია არსებული პრობლემების გამოვლენისა და მათზე მორგებული შეთავაზებების გაკეთების თვალსაზრისით.


არსებობს კიდევ ერთი შეუსაბამობა - საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მცირე და საშუალო საწარმოებს ამ ეტაპზე არ აქვთ ვალდებულება ანგარიშგება აწარმოონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) მიხედვით. ამავდროულად, ასოცირების შეთანხმებით, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება ქვეყნის კანონმდებლობა დაახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას ბუღალტრული აღრიცხვის სფეროშიც. ცალსახაა, რომ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმოებული ფინანსური ანგარიშგება გაზრდის კომპანიების ანგარიშგების გამჭვირვალობას და ასევე, მათ შესაძლებლობებს, უფრო მარტივად შეიძინონ ბიზნეს-პარტნიორები და მოიზიდონ დამატებითი ფინანსური რესურსი. ამ ეტაპზე კომპანიების მცირე რაოდენობა აწარმოებს ფინანსური ანგარიშგებას “IFRS for SMEs”-ის მიხედვით, რაც აფერხებს დამატებითი კაპიტალის მოზიდვას, თუმცა ტემპების დაჩქარება ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად დააჩქარებს ფინანსური რესურსების მოზიდვასთან დაკავშირებით კომპანიების ანგარიშგების გამართულობას.

საყურადღებოა საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“, სადაც მითითებულია, რომ „გრანტად არ ჩაითვლება სამეწარმეო მიზნების მისაღწევად გაცემული სახსრები, გარდა იმ იურიდიულ პირებზე გაცემული სახსრებისა, რომელსაც მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი“. კანონში ასევე ხაზგასმულია, რომ „გრანტად ითვლება ასევე „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გაცემული გრანტი“. გრანტის მიმღებად კი განსაზღვრულია: ”საქართველოს სახელმწიფო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ უფლებამოსილი ორგანოს (ორგანიზაციის) სახით; ბ) საქართველოს მთავრობა საქართველოს მთავრობის მიერ უფლებამოსილი ორგანოს სახით; გ) საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო; დ) საქართველოს რეზიდენტი ან არარეზიდენტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, მისი წარმომადგენლობა, ფილიალი, განყოფილება; ე) საჯარო სამართლის იურიდიული პირი; ვ) საქართველოს მოქალაქე; ვ1) პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირი; ვ2) უცხო ქვეყნის მოქალაქე – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის/კონკურსების მიზნებისთვის; ვ3) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არის რეგისტრირებული და რომელსაც მინიჭებული აქვს პირადი ნომერი; ზ) აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება; თ) საერთაშორისო ორგანიზაცია, სხვა სახელმწიფოს სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი; ი) „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირი; ი1) საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი – „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების

და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გაცემული გრანტის შემთხვევაში; კ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი; ლ) საქართველოს ბიზნესომბუდსმენი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნანახია თებერვალი, 2019). ეს ყოველივე კი გულისხმობს იმას, რომ გრანტის მიმღებებს შორის ფაქტიურად არ მოიაზრებიან პოტენციურად ექსპორტიორი კომპანიები, თუ არ ჩავთვლით ინოვაციური საქმიანობის დაფინანსებას, რაც რეალურად ქმნის გარკვეულ დაბრკოლებას ექსპორტიორების ალტერნატიული დაფინანსების ხელმისაწვდომობის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ყველა კატეგორიის ექსპორტიორის გრანტით დაფინანსება სახელმწიფოს შესაძლებლობებს შესაძლოა აღემატებოდეს, მიზანშეწონილია, რომ გაფართოვდეს კანონის მოქმედების არეალი და გრანტის მიმღებთა შორის განისაზღვროს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საექსპორტო მიმართულებები.


როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში არ არსებობს ვაჭრობის დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა, შესაბამისად საქართველოს შესახებ ამ ტიპის მონაცემების მოძიება შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო ბანკის ეგიდით 3-4 წელიწადში ერთხელ ჩატარებული საწარმოთა კვლევის შედეგებიდან (World Bank Group, Enterprise Surveys, 2013). თუმცადა, აღნიშნულ კვლევაშიც აქცენტი კვლავ გაკეთებულია სესხებზე და არ არის დეტალებში ჩამოხსნილი დოკუმენტური ბიზნესის ცალკეული პროდუქტების კუთხით არსებული მდგომარეობა (ნახაზი #1.2.8-1.2.9).

ნახაზი №1.2.8 ბანკის სესხებით სარგებლობა (%)



წყარო: ასლამაზიშვილი ნ., 2015, ეკონომიკა და საბანკო საქმე, ტომი 3, 2, გვ. 56

ნახაზი №1.2.9: საჭირო უზრუნველყოფის მოცულობის წილი სესხთან მიმართებაში (%)



წყარო: ასლამაზიშვილი ნ., 2015, ეკონომიკა და საბანკო საქმე, ტომი 3, N2, გვ. 56

ზემოაღნიშნული წყაროების მიმოხილვის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობაში და არსებობს მოლოდინი, რომ აღნიშნული ინსტიტუტების მხრიდან ვაჭრობის ხელშეწყობით დაფინანსებული პროექტები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის დაძლევაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია საქართველოს გააჩნია ეკონომიკური განვითარების კონკრეტული პრიორიტეტები, თუმცა ჯერ კიდევ არაერთი საკითხია გასაანალიზებელი, რომელთა გაუმჯობესებაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ვაჭრობის ხელშეწყობის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას.

თავი 2. ვაჭრობის დაფინანსების საერთაშორისო გამოცდილება

2.1 თანამედროვე გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის ზემოქმედება საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაზე

თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ აქტუალურია განვლილი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების თავისებურებების ანალიზი, რათა შემუშავდეს სწორი ანტიკრიზისული გეგმა, რაც თითოეულ სახელმწიფოს საშუალებას მისცემს, შექმნას ქვეყნის განვითარების ისეთი ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს სახელმწიფოს სტაბილურ განვითარებას. მსოფლიოს უახლესი ისტორიის, XXI საუკუნის გლობალური ეკონომიკური კრიზისი კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ ძლიერი

დარტყმის მიყენება შეუძლია ეკონომიკური მოვლენებისა თუ ტენდენციების დაგვიანებულ, არასწორ და არაადეკვატურ შეფასებას, რაც, თავის მხრივ, აღარ უტოვებს არანაირ ბერკეტს კრიზისის პირას მყოფ ქვეყანას, რომ მოახდინოს ლავირება და საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი შედეგების მინიმოზაციის მიზნით შედარებით მარტივი და რაც მთავარია, დროული გამოსავალი მოიხსნოს.

დღევანდელი გადასახედიდან საკმაოდ არაერთგვაროვანია მეცნიერებისა თუ ეკონომისტების მოსაზრებები გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების თავისებურებებსა თუ მისი პრევენციის გზებთან დაკავშირებით. არ არსებობს ერთიანი მიდგომა, რომელიც ცალსახა და სწორხაზოვან მიმართულებას მისცემს ქვეყნებს, თუ როგორ უნდა დაგეგმონ და განახორციელონ არსებული გარემოების ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მისცემს შესაძლებლობას, თავიდან აირიდონ დიდი მასშტაბის „დეპრესიები“. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე არაერთი ცნობილი მეცნიერი თუ ეკონომისტი იკვლევდა გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების საკითხებს, ბოლო პერიოდში განვითარებულმა გლობალურმა კრიზისმა თვალნათლივ აჩვენა თანამედროვე პირობებში დღემდე არსებული ეკონომიკური თეორიის სერიოზული ხარვეზები და ჩავარდნები (Krugman, 2009).

გარდა ამისა, დღეს საკმაოდ აქტიურად განიხილება ფინანსური კრიზისის პირობებში ცენტრალური ბანკების, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის როლისა და ფუნქციების საკითხები, მსოფლიოს ქვეყნების საფინანსო სექტორის მარეგულირებელი ორგანოები ცდილობენ ბაზელის სტანდარტების მიხედვით მაქსიმალურად გაითვალისწინონ რეკომენდაციები და საუკეთესო პრაქტიკები საბანკო ზედამხედველობისა და საკანონმდებლო რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი რჩება შეკითხვა: არის კი მსოფლიო მზად საიმისოდ, რომ მომავალი გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი შეაჩეროს? შესაძლებელია კი წინასწარ პროგნოზირება მოსალოდნელი რეცესიებისა თუ დეპრესიების და რამდენად მობილიზებულნი არიან თუნდაც მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნები მინიმალური დანაკარგებით გაუმკლავდნენ მსგავსი ტიპის კრიზისებს მომავალში? ამ მიმართულებით ბოლო პერიოდში საქართველოშიც დაფიქსირდა

მცდელობა, რომ გარკვეული ქვეყნების პრაქტიკიდან გამომდინარე მომხდარიყო ეროვნული ბანკისგან საზედამხედველო ფუნქციის გამოყოფა, თუმცა ამ შემთხვევაში არაეფექტური ხდებოდა ზედამხედველობის ბერკეტების გარეშე ბოლო ინსტანციის კრედიტორის როლის შესრულება და შესაბამისად ეს ფუნქცია კვლავ დაუბრუნდა ეროვნულ ბანკს.

საერთაშორისო ექსპერტების უმეტესობის აზრით, 2007 წელს დასავლეთში დაწყებული გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი ყველაზე მძიმე იყო ბოლო 70 წლის განმავლობაში წარმოქმნილ კრიზისებს შორის (Onwuamaegbu, Sauvant, 2011). ექსპერტთა გაანგარიშებით, კრიზისით გამოწვეული ჯამურმა დანაკარგებმა ანტიკრიზისულ ღონისძიებათა დაფინანსებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ჩათვლით დაახლოებით 4 ტრლნ 700 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო მსოფლიო ბაზრის კაპიტალიზაცია 26 ტრლნ 400 მლრდ აშშ დოლარით შემცირდა (Cecchetti, Kohler, Upper, 2009).

დღეისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არის სრული კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ რა იყო გლობალური ფინანსური დისბალანსის წარმოშობის მიზეზი. ავტორთა უმრავლესობა თანხმდება, რომ იყო მნიშვნელოვანი პრობლემები რეგულირებისა და ზედამხედველობის სფეროში და ამჟამად მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა ხდება სწორად ამ კუთხით. ბაზელის კომიტეტის III შეთანხმება კაპიტალის ადეკვატურობის, სტრეს-ტესტირებისა და ლიკვიდობის რისკების სტანდარტების შესახებ შემუშავდა სწორედ გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. რაც შეეხება კრიზისის გამომწვევ ეკონომიკურ მიზეზებს, ორი ძირითადი მიმართულების გამოყოფაა შესაძლებელი: ერთი ვერსიით 2001 წლიდან მოყოლებული ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ გატარებული შერბილებული მონეტარული პოლიტიკა იყო კრიზისის ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორი (Taylor, 2007 და White, 2009) ხოლო მეორე ინტერპრეტაციის მიხედვით გლობალური ფინანსური დისბალანსი მასთან დაკავშირებული კაპიტალის ნაკადების ინტენსივობის ზრდა იყო მისი მსოფლიო მასშტაბით გავრცელების მიზეზი (Caballero, Krishnamurthy, 2009 და Portes, 2009). რიგი ავტორები მიიჩნევენ, რომ კრიზისის მყისიერი გავრცელება ზემოხსენებული ორივე მიზეზის ერთობლიობის შედეგია (Obstfeld, Rogoff, 2009 და Acharya, Richardson, 2009). თუმცა, „პრაქტიკულად არც ერთი კვლევა არ შეისწავლის ემპირიულად ამ ფაქტორების წვლილს

კრიზისის განვითარებაში ზუსტად. მეტიც, არსებული მონაცემები და კვლევების შედეგები გარკვეულწილად წინააღმდეგობრივია“ (ბაქრაძე, 2014).

„ექსპერტების აზრით, კრიზისის დასაწყისი დაკავშირებული იყო აშშ-ის უძრავი ქონების ბაზარზე ე.წ. სუბსტანდარტული იპოთეკური დაკრედიტების კრიზისთან. ამერიკის უმსხვილესი იპოთეკური კომპანიების “ფანი მეისა” და “ფრედი მეკის” (Fannie Mae, Freddie Mac) გაუაზრებელმა, ხშირ შემთხვევაში არაპროგნოზირებადმა მოქმედებამ (ობლიგაციების დიდი რაოდენობით გაყიდვა, საკრედიტო და საინვესტიციო ფუნქციების შერწყმა-არევა) გაამარტივა მომხმარებლისთვის იპოთეკური კრედიტების აღება. რეგულაციების შესუსტებამ ეტაპობრივად შექმნა სტიმული, რომ მასიურად გაცემულიყო სესხები დაბალშემოსავლიან მსესხებლებზე საკმაოდ მაღალი ან „ცვლადი“ (LIBOR) განაკვეთებით. შედეგად, უპრეცედენტოდ გაიზარდა როგორც უძრავი ქონების ფასები, ასევე „გაპრობლემებული“ სესხების მოცულობაც. ეკონომისტები თანხმდებიან, რომ მხოლოდ უძრავი ქონების სექტორის კრიზისი არ იქნებოდა ისეთი სავალალო შედეგების მომტანი, რომ არა ის ფინანსური ინოვაციები, რომლებიც ამ პერიოდში განხორციელდა აშშ-ს საფინანსო სისტემაში (იპოთეკით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა (MBS) და სავალო ვალდებულებით უზრუნველყოფილი ობლიგაცია (CDO) „(ბაქრაძე, 2014). MBS და CDO ობლიგაციები მაღალი რეიტინგისა და უსაფრთხოების გარდა მაღალ საპროცენტო განაკვეთს სთავაზობდა ინვესტორებს, რამაც გამოიწვია მათზე მოთხოვნის ზრდა და გარკვეული პერიოდის შემდეგ წარმოიქმნა ე.წ. ბუშტი, რომელიც უძრავი ქონების ბაზრის გარდა უკვე ფასიანი ქაღალდების ბაზარსაც მოიცავდა. კრიზისი გასცა უძრავი ქონების სექტორს და გავრცელება დაიწყო ჰეჯ-ფონდებმაც, რომელთა პორტფელებში მაღალი იყო იპოთეკებისა და მასთან დაკავშირებული ფასიანი ქაღალდების წილი.

2008-2009 წლის გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისმა სერიოზული ზიანი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას. ბანკების ლიკვიდურობის შემცირების პარალელურად ვაჭრობის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის კლებამ საერთო ჯამში განაპირობა მსოფლიო ვაჭრობის მაჩვენებლების მკვეთრი ვარდნა. მსოფლიო ექსპორტის 3,98%-ით შემცირებამ 2008-2012 წლებში გავლენა მოახდინა განვითარებული ქვეყნების იმპორტის კლებასა და განვითარებადი

ეკონომიკის მქონე ქვეყნების ექსპორტის შენელებულ ტემპებზე (International Monetary Fund – IMF, UNCTAD figures on the volume of exports of goods; based on the World Economic Outlook, 2012).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) მონაცემებით, 2009 წელს კრიზისის შედეგად მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა შემცირდა 12%-ით. (Tanaka, 2009 და Wakasugi, 2009). როგორც ფრანკოისი და ვოერზი აღნიშნავენ, ყველაზე რთული მდგომარეობა შეიქმნა სამრეწველო პროდუქტებით ვაჭრობაში (-15.5%) (Francois და Woerz, 2009), ვაუბურგის მოსაზრებით გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დროს მსოფლიო ვაჭრობის ვარდნა აღმოჩნდა ბევრად უფრო მძიმე, ვიდრე მთლიანი შიდა პროდუქტის (-4.6%) (Anne-Gaël Vaubourg, 2016). უფრო მეტიც, აღნიშნული კრიზისის შედეგები მსოფლიო ვაჭრობისთვის იყო ბევრად გამანადგურებელი, ვიდრე 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის შედეგები (Almunia, M., Benetrix, A., Eichengreen, B., O'Rourke, K. da Rua, G., 2010). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დიდი დეპრესიის დროს განცდილი კრაზი საერთაშორისო ვაჭრობისათვის დიდწილად განპირობებული იყო გაზრდილი სავაჭრო ბარიერებით, ხოლო 2009 წლის კოლაფსი არანაირად არ გახლდათ დაკავშირებული მომატებულ პროტექციონისტულ ღონისძიებებთან.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს საერთაშორისო ვაჭრობის კოლაფსის მიზეზების სხვადასხვა ვერსიები: ერთ-ერთი ვერსიით მსოფლიო სავაჭრო სისტემის კოლაფსი ფორსირებული იყო გლობალიზაციისა და მულტინაციონალური ფირმების მიერ წარმოქმნილი ვერტიკალური სპეციალიზაციით (Bems, Johnsoni, K-M., 2009), ხოლო იტონი, კორტუმი, ნეიმანი და რომალისი (Eaton, J., Kortum, S., Neiman, B. და Romalis, J. 2011), ნაშრომში “ვაჭრობა და გლობალური რეცესია” (“Trade and the global recession”) ცალსახად მიუთითებენ, რომ კრიზისში მყოფი მსოფლიო ეკონომიკაში წარმოქმნილმა შემცირებულმა მოთხოვნამ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა საერთაშორისო ვაჭრობის მსოფლიო კრიზისზე. WTO კი საერთაშორისო ვაჭრობის კოლაფსის განმაპირობებელ ფაქტორად თანამედროვე გლობალურ-ეკონომიკურ კრიზისს მიიჩნევს (Auboin, M., 2011). კრიზისმა დიდი დარტყმა მიყენა საფინანსო ინსტიტუტებს და შექმნა ლიკვიდურობისა და

გადახდისუნარიანობის პრობლემები (Aisen, Franken, 2010), რაც თავისთვად ნეგატიურად აისახა საერთაშორისო ვაჭრობის ფუნქციონირებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ვაჭრობის 80-90% დამოკიდებულია ვაჭრობის დაფინანსების ეფექტიანობაზე, სწორედ ამიტომ ეკონომიკასთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური საფრთხე მნიშვნელოვნად ამცირებს ვაჭრობის დაფინანსების მოცულობას. გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვი განაპირობებს ვაჭრობის დაკრედიტების გლობალიზაციას, იზრდება რისკი აღნიშნული სექტორის გლობალურ კრიზისებში ჩართულობასთან დაკავშირებით (WTO, The challenges of trade financing).

კვლავ ღია საკითხად რჩება 2008 წლის გლობალური კრიზისის დროს მოკლევადიანი დაკრედიტების შემცირების გამოწვევი დომინანტი ფაქტორის განსაზღვრის საკითხი. სანამ საერთაშორისო საზოგადოებრივი ინსტიტუტები ბაზრის ჩავარდნის ჰიპოთეზების ძიებაში იყვნენ, საბანკო სექტორი არაადეკვატური პრუდენციული ზედამხედველობის, ცენტრალური ბანკების არასწორი მითითებების და რაც მთავარია ადგილობრივი ხელისუფლების უუნარობის გამო, შეეთავაზებინათ კრიზისიდან თავის დაღწევის კონკრეტული სტრატეგიები, კოლაფსის რეალობის წინაშე დადგნენ. „მასობრივმა მცდელობამ, გამოიწვია საერთაშორისო ბანკების ე.წ. “ჯოგური ქცევა“ და ბანკებმა ფაქტიურად შეწყვიტეს განვითარებად ბაზრებზე ნებისმიერი სახის აქტივობა მიუხედავად დაკრედიტების და რისკის ტიპისა. შედეგად ვაჭრობის დაკრედიტება, რომელიც ყველაზე უსაფრთხო და საშუალო მომგებიანობის მქონე ბიზნესია, საერთოდ გაჩერდა. ამას თან დაერთო არაადეკვატური ინფორმაცია და ექსტრაპოლაციური მოლოდინები ვალუტის კურსთან დაკავშირებით, რამაც კიდევ უფრო გააუარესა მდგომარეობა ბაზარზე“ (Auboin, Meier-Ewert, 2003). WTO-მ ფინანსური კრიზისებისათვის დამახასიათებელი რისკებისა და არასაკმარისი ლიკვიდურობის მაპროვოცირებელ ძირითად მიზეზად განვითარებად და დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში ვაჭრობის დაკრედიტების სიმწირე დაასახელა, რამაც თავის მხრივ ბიძგი მისცა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ინსტიტუტებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდს (IMF), მსოფლიო ბანკს, რეგიონალური განვითარების ბანკებსა და ექსპორტის

დაკრედიტების სააგენტოებს (ECAs), გამოსულიყვნენ კრიზისული სიტუაციიდან გამოსავლის ძიების ინიციატივით (Auboin M., Meier-Ewert M, 2003).

საერთაშორისო ვაჭრობაზე თანამედროვე გლობალური კრიზისის გავლენის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციები საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ პრობლემები, რომლებიც ვაჭრობის დაფინანსების სისტემას შეექმნა გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ:

- რისკის, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის პრობლემები – იმის გამო, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში არის დროის საკმაოდ დიდი შუალედი საქონლის წარმოებას, გადაზიდვასა და საბოლოო ანგარიშსწორების პერიოდებს შორის, ფინანსურმა კრიზისმა გარკვეული უნდობლობა გამოიწვია კონტრაგენტებს შორის.
- ექსპორტიორები ხშირად აწყდებოდნენ საექსპორტო ოპერაციებთან დაკავშირებულ რისკებს: გადაუხდელობის, სავალუტო, ტრანსპორტირების და სხვა რისკებს. განვითარებულ და ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში ამგვარი რისკების გადაზღვევა ხდება როგორც ექსპორტის დაკრედიტების სააგენტოების, ასევე კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ, თუმცა პოსტკრიზისულ პერიოდში კერძო სადაზღვევო კომპანიებისთვის ნაკლებად მიმზიდველი რისკების გადაზღვევა.
- ფინანსურმა პრობლემებმა განაპირობა მოთხოვნის შემცირება საქონელსა და მომსახურებაზე, რაც საბოლოო ჯამში აისახა საერთაშორისო ვაჭრობაზე და ფინანსური კრიზისი გადაიზარდა ეკონომიკურ კრიზისში.
- ვაჭრობის დაფინანსების შეზღუდულობა - ლიკვიდურობის შემცირებამ და რისკების ზრდამ განაპირობა კრედიტების გაძვირება ბევრ ქვეყანაში. ამას თან დაერთო ექსპორტიორების უფრო ფრთხილი პოზიცია, უნდობლობა გადაუხდელობის რისკთან დაკავშირებით, რის გამოც შენელდა საერთაშორისო ვაჭრობის პროცესები: ტვირთები თვეობით ყოვნდებოდა, სანამ ექსპორტიორი არ დარწმუნდებოდა მყიდველის გადახდისუნარიანობაში. შედეგად, ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებზე გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები, საკომისიოები და შემცირდა ხელმისაწვდომობა ვაჭრობის დაკრედიტებაზე.

- Lehman Brothers-ის და სხვა მსგავსი ფინანსური ინსტიტუტების გაკოტრებით დაიკარგა საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების სტრატეგიული პარტნიორები.
- გაიზარდა ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებზე (გარანტიები, აკრედიტივები) ბანკის მხრიდან „დაუარებული“ განაცხადების რაოდენობები.
- ფინანსური კრიზისის პერიოდში ბაზელის კაპიტალის ადეკვატურობის ახალი მოთხოვნები ნეგატიურად აისახა საერთაშორისო ვაჭრობის დაკრედიტებაზე

საინტერესოა საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების ბაზრის კვლევა, რომელიც პირველად WTO-ს დაკვეთით, G20-ის ქვეყნების სამიტისათვის მოამზადა საერთაშორისო სავაჭრო პალატამ (ICC) და 2009 წლის შემდგომ კვლევამ უკვე პერმანენტული ხასიათი მიიღო. კვლევის მიხედვით, სვიფტის საანგარიშსწორებო სისტემით განხორციელებულმა ტრანზაქციების მაჩვენებელმა კრიზისამდელ პერიოდში პიკს 2007 წელს მიაღწია (48 მლნ ტრანზაქცია) და სულ რაღაც 1 წელიწადში, 2008 წლის კრიზისის პერიოდში 46 მლნ ტრანზაქციამდე შემცირდა (Rethinking Trade Finance 2009: An ICC Global Survey). SWIFT-ის საანგარიშსწორებო სისტემით განხორციელებული ოპერაციებისგან განსხვავებით, 2014 წელი გლობალური ფაქტორინგული ინდუსტრიისათვის შთაშვებდავი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ტემპები შესუსტდა მთელი რიგი მიზეზების, მათ შორის სამომხმარებლო ფასების დაწევის, სავალუტო კურსის ცვალებადი გარემოსა თუ არამდგრადი ეკონომიკური პროცესების გამო, ფაქტორინგული ინდუსტრია 2014 წელს გაიზარდა 6,3%-ით და მისმა წლიურმა მოცულობამ გადააჭარბა 2,35 ტრლნ ევროს. ტრანსსასაზღვრო ფაქტორინგის ინტენსიური ზრდა განპირობებული გახლდათ ღია ანგარიშით ვაჭრობის ზრდითა და ფაქტორინგის მიერ ტრადიციული აკრედიტივის ალტერნატიული ფუნქციის შეთავსებით. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბევრ ქვეყანაში (აშშ და ბრაზილია), ფაქტორინგის ინდუსტრიას არ გააჩნია რეგულაციები, რაც საშუალებას აძლევს საბანკო დაწესებულებებს, ჩაერთონ აღნიშნულ ინდუსტრიაში. ასეთი მასშტაბის ზრდა, განსაკუთრებით თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ, განაპირობა ბაზელ II/III-ის რეკომენდაციების გათვალისწინებამ, მომატებულმა რისკებმა, რამაც თავი იჩინა არაუზრუნველყოფილი დაკრედიტების ფორმებით და ზოგადად ფაქტორინგის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე

უსაფრთხო და სანდო პროდუქტის პოზიციონირებამ ბაზარზე, რომელიც უზრუნველყოფს მცირე და საშუალო (SME) სექტორის ლიკვიდურობას და ხელს უწყობს ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

რაც შეეხება ბაზელ II-ის სტანდარტს, რომელსაც საკმაოდ კრიტიკულად მიუდგნენ 2008 წლის მსოფლიო კრიზისის გაანალიზებისას, აღნიშნულ რეგულაციებში საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების კუთხითაც მნიშვნელოვანი ხარვეზები დაფიქსირდა. აღმოჩნდა, რომ ბაზელის სტანდარტი სრულად უქრობდა ბანკებს საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების მოტივაციას და კაპიტალის ადეკვატურობისადმი გაზრდილი მოთხოვნები არახელსაყრელი იყო განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების მიკრო და მცირე ბიზნესის დაკრედიტებისთვის.

რაც შეეხება ექსპორტის დაფინანსების საკითხს, ICC –ის 2009 წლის კვლევის თანახმად, რესპოდენტთა დაახლოებით 40%-მა დაფიქსირა, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში (კრიზისის პერიოდში) გარანტიების, აკრედიტივების და ვაჭრობის დაფინანსების სხვა ინსტრუმენტები მნიშვნელოვნად გამძირდა, რაც გამოწვეული გახლდათ სუბსიდირების მაღალი დანახარჯებით, კაპიტალის შეზღუდულობით, ვალდებულების დაუბრუნებლობის მომატებული რისკიანობითა და დაკრედიტების პირობებით, რომელიც გამსესხებელს აძლევდა საშუალებას ბევრად მაღალი საპროცენტო განაკვეთი დაეწესებინა განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე (ICC Document No. 470-1120 TS/WJ 31 March 09). ვაჭრობის დაკრედიტების დაბალი ფასები ცალსახად მნიშვნელოვანი უპირატესობაა კონკურენტულ ბაზარზე, რადგანაც მსესხებლებისთვის დღესდღეობით ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად არაერთი საინტერესო ალტერნატივა არსებობს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ვაჭრობის დაფინანსების საშუალებათა ფასწარმოქმნაში ზემოხსენებულ ფაქტორებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს ბაზელ III-ის რეგულაციებიც, რომელიც უკვე დანერგა და შესაბამისად ფასშიც ასახა გამოკითხული საფინანსო ინსტიტუტების 35%-მა.

ბოლო ორი საუკუნის მანძილზე მსოფლიო კრიზისების გაზრდილმა ინტენსივობამ განაპირობა დაზღვევის საკითხების აქტუალურობა კრიზისის ნეგატიური ეფექტების მინიმიზაციის თვალსაზრისით. 2014 წლის მდგომარეობით, საკრედიტო და

საინვესტიციო მზღვეველთა საერთაშორისო გაერთიანება „ Berne Union“-ის მიერ ექსპორტის დაკრედიტების დაზღვევის მოცულობა გაიზარდა 4%-ით და 1,875 ტრლნ აშშ დოლარს მიაღწია. უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის ფინანსური კრიზისის დაწყების შემდეგ „Berne Union“-ის მიერ ანაზღაურდა დაახლოებით 28 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის ზარალი (Rethinking Trade Finance 2015). სადაზღვეო კომპანიების ასეთი მოქნილობა რისკების დაზღვევის კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავაჭრო ტრანზაქციებისა და ზოგადად ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერის საქმეში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ეს პრაქტიკა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ განვითარებული და აუცილებელია, რომ ექსპორტის დაკრედიტების დაზღვევის მიმართულებით აქტიურად დაიწყოს მუშაობა.


საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების წინაშე კრიზისის შემდგომი პერიოდის გამოწვევებზე მსჯელობისას გამოიკვეთა არაერთი საინტერესო საკითხი: ეკონომიკური კრიზისების პრევენციისთვის მნიშვნელოვანია საბანკო სექტორის სათანადო ზედამხედველობა და რისკების დროული შეფასება ეროვნული ბანკების მხრიდან, თუმცა ამან არ უნდა გამოიწვიოს ვაჭრობის დაფინანსების გაუაზრებელი “შებოჭვა”. კრიზისმა გვაჩვენა, რომ არასათანადო მითითებების გამო ბანკებმა ფაქტიურად შეწყვიტეს ვაჭრობის დაფინანსება მიუხედავად რისკისა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული ბანკი ფლობდეს და ეფექტურად ახორციელებდეს საზედამხედველო ფუნქციას, რათა თავიდან აირიდოს კრიზისული სიტუაციები და არ გახდეს საჭირო მისი, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის როლის გამოყენება.

2.2 საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის ხარისხი მყისიერ გავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობის ზოგად მდგომარეობასა და გლობალურ მაჩვენებლებზე, რომელთა ანალიზი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია დინამიურ ეკონომიკურ პროცესებზე ეფექტური რეაგირებისათვის. აღსანიშნავია, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში საგარეოვაჭრობის ზრდის მაჩვენებელი 3%-ზე დაბალ

ნიშნულზეა. მცირე შემოსავლიან ქვეყნებში კი საექსპორტო ბაზრებზე პროდუქტის ფასების შემცირებამ, უსაფრთხოებასა და პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებულმა გამოწვევებმა განაპირობა ასევე არასახარბიელო, 5.3%-იანი მაჩვენებელი ნახაზი #2.2.1).

ნახაზი №2.2.1 : მსოფლიო ვაჭრობის ზრდა




წყარო: მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2016

- აქტიურად დაიწყოს მეწარმეთა ცოდნის ამაღლებაზე მუშაობა არამარტო დაკრედიტების, არამედ ალტერნატიული დაფინანსების მოზიდვის (fund raising) საკითხებში, მათ შორის ფასიანი ქაღალდებისა და ობლიგაციების განთავსების მიმართულებით, რადგან კაპიტალის ბაზარი საბანკო დაკრედიტებასთან ერთად მოიაზრება, როგორც ფინანსური რესურსების მოზიდვის ეფექტური საშუალება. იგი ხელს უწყობს დანაზოგების ეფექტიან გადანაწილებას და იმ შემთხვევაში, როდესაც საბანკო დაკრედიტება იზღუდება, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, შესაძლოა ასრულებდეს ერთგვარ დამაბალანსებელ ფუნქციას. მართალია ამ ეტაპზე საქართველოს ბაზარი უკვე ლიბერალიზებულია და შეზღუდვები, რომელიც ბევრი განვითარებადი ქვეყნისთვის არის ბაზრის შემაფერხებელი ფაქტორი, საქართველოში აღარ არსებობს, მაგრამ ეს არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა ბაზრის განვითარებისთვის (კაპიტალის ბაზრების განვითარების და საკენსიო რეფორმის დეპარტამენტის ანგარიში, 2016). შესაბამისად, მიზანშეწონილია აქტიურად დაიწყოს მუშაობა

კაპიტალის ბაზრების შემფერხებელ ფაქტორების აღმოფხვრასთან დაკავშირებით. ეს ფაქტორებია: არასაკმარისი ცოდნა და გამოცდილება ბაზრის მონაწილეების მხრიდან, მაღალი ტარიფები და ემისიასთან დაკავშირებული ხარჯები, არასაკმარისი ლიკვიდობა, რაც ზღუდავს ინვესტორების დაინტერესებას და ემიტენტების არასაკმარისი გამჭვირვალობა და კომპანიების კრედიტუნარიანობის შეფასების არაეფექტური სისტემა.

1.3 ქართული კომპანიების გარკვეული ნაწილი არ სარგებლობს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, რაც მათ გაუმარტივებდა ფინანსური რესურსების მოძიებას.

რეკომენდაცია: ინტენსიურად განხორციელდეს კომპანიების ხელშეწყობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში, რაც დაეხმარება მათ ფინანსური რესურსები მოძიებაში.

2. კომერციული საბანკო სექტორის გამოწვევები ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით:

2.1. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ბანკები ორიენტირებულნი არიან ინოვაციური პროდუქტების დანერგვაზე ფიზიკური პირების მომსახურების ჭრილში, ვაჭრობის დაფინანსების მიმართულების პროცესების ოპტიმიზაცია და ე.წ. “დიჯიტალიზაცია” ჯერ არ არის აქტიურ ფაზაში, რაც სავარაუდოდ გამომდინარეობს ამ ბიზნესისადმი არასათანადო ყურადღებით, მომხმარებლების ინფორმირებულობისა და შესაბამის პროდუქტებზე მოთხოვნის დაბალი დონით. ფიზიკური პირებისგან განსხვავებით, ამ ეტაპზე ასევე ვერ ხდება ბიზნეს კლიენტებისთვის საკრედიტო მომსახურების დისტანციურად სარგებლობის შეთავაზება, რაც ძირითადად გამოწვეულია ელექტრონული ხელმოწერის კანონში და ზოგადად უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული გამოწვევებით. კანონი არსებობს, თუნცა ჯერ კიდევ არ ითვლება ვალიდურად საკრედიტო ხელშეკრულებების შემთხვევაში ელექტრონული ხელმოწერა, გარდა ამისა, საბანკო სექტორის მენეჯმენტის მიერ კვლევაში დაფიქსირებული მოსაზრების მიხედვით, დღესდღეობით ქვეყანაში არ არის სისტემა ისეთ დონეზე გამართული, რომ უზრუნველყოს რისკების ავტომატური კონტროლი, შესაბამისად, მსხვილ ბანკებს თავად უწევთ კონტროლის დამატებით მექანიზმების ჩართვა, რაც ართულებს სერვისის მიღების პროცესს.

რეკომენდაცია: სასურველია, რომ პროცესების ოპტიმიზაციის და დიჯიტალიზაციის მიმართულებით აქტიურად დაიწყოს მუშაობა როგორც ექსპორტის განვითარებაზე ორიენტირებულ სტრუქტურულ ერთეულებში, ასევე კომერციული ბანკების მხრიდანაც. მოგვარდეს ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების საკითხები და გასწორდეს ელექტრონული ხელმოწერის შესახებ კანონის სახელმწიფოებრივი კაზუსი. უფრო ამბიციური მიზნის განხორციელების, ახალ პალტფორმაზე მიერთების შედეგად კი (Digital Trade Chain – DTC) საქართველო ინოვაციური სერვისის დანერგვის მოწინავე ქვეყანა იქნება კავკასიის რეგიონში, რაც ცალსახად დადებითად აისახება საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისით.

2.2. ქართული ბანკების ვებ-გვერდების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე არ ხდება ფორფეიტინგის შეთავაზება მომხმარებლისათვის.

რეკომენდაცია: მიზანშეწონილია კომერციული ბანკებისა და ვაჭრობის ხელშემწყობი ორგანიზაციების მიერ მოხდეს უცხოურ ბაზარზე არსებული ეფექტური პროდუქტების ანალიზი და იმ პროდუქტების დანერგვა საქართველოში, რომლის საჭიროებაც არსებობს და არ გვხვდება ვაჭრობის დაფინანსების ქართული პროდუქტების კატალოგში.

2.3. გასათვალისწინებელია, რომ კომერციულ ბანკებს აქვთ უნიფიცირებული მიდგომა და არ არის მკაფიოდ გამიჯნული პროდუქტები, პროცესები და პროცედურები საქმიანობის სფეროს ჭრილში, მაგალითად ექსპორტიორებისთვის.

რეკომენდაცია: მიზანშეწონილია ბანკებმა განავითარონ სეგმენტური მიდგომა ბიზნესის დაფინანსების კუთხით და მოახდინონ საფინანსო და არასაფინანსო (მათ შორის სადაზღვევო) პროდუქტების დაპაკეტება ქვესეგმენტების მიხედვით (მაგ: ექსპორტიორებისთვის, დეველოპერებისთვის, ენერჯეტიკის სფეროსთვის ა.შ.), რაც უფრო აღქმადს გახდის კონკრეტული სექტორის წარმომადგენლებისთვის (მაგ: ექსპორტიორებისთვის) მათ საჭიროებებზე მორგებული საფინანსო პროდუქტების ნუსხას.

2.4. მსოფლიოს გამოცდილების გათვალისწინებით, ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებთან დაკავშირებული საჩივრების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, ბანკების მიერ უნდა მოხდეს თაღლითობის ყველა შესაძლო ვერსიის იდენტიფიცირება და

პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა, რათა არ მოხდეს ამ პროდუქტების სანდოობის სტატუსის შელახვა. ამ მიზნით მსხვილ ბანკებს აქვთ კიდევ შემუშავებული ვაჭრობის დაფინანსების ცენტრალიზებული სტრუქტურა, რომელიც გულისხმობს აღნიშნულ საკითხებზე მომხმარებლის სათაო განყოფილებასთან შეხებას, რაც ერთი მხრივ აზღვევს კადრების კვალიფიკაციის პრობლემის ან სხვა მიზეზით დაფიქსირებული შეცდომებისა და თაღლითობების რისკს, მაგრამ მეორეს მხრივ საკმაოდ რთულ და მოუქნელ, დროში გაწევილ პროცესს სთავაზობს კომპანიებს.

რეკომენდაცია: სასურველია, რომ ბანკებმა ამჟამინდელი სტრატეგიის – კადრების უნივერსალიზაციის მიუხედავად, იურიდიული პირების ანუ ბიზნეს კლიენტების მომსახურების მიმართულებით განავითარონ ადამიანური რესურსების კვალიფიკაცია, რომლის კვალიფიკაცია და მომზადების დონე ბიზნეს სექტორის საჭიროებებზე იქნება მორგებული და შესაბამისად, ნებისმიერ ფილიალში და მომსახურების წერტილში შესაძლებელი იქნება დეცენტრალიზებულად, მარტივი და სწრაფი მომსახურების გაწევა ბიზნეს სექტორისათვის და მათ შორის ექსპორტიორი კომპანიებისათვის. აღნიშნული პრობლემის მოგვარებისთვის ასევე მიზანშეწონილია უნივერსიტეტებშივე ისწავლებოდეს ვაჭრობის დაფინანსების სფერო არა მხოლოდ თეორიულ ჭრილში, არამედ პრაქტიკებზე დაყრდნობით, რაც შეამცირებს ამ მეტად სპეციფიური სფეროსთვის კვალიფიციური კადრების მომზადების ვადებს, რადგან ბანკების მენეჯმენტის განცხადებით მათ პრაქტიკულ მომზადებას საკმაოდ ხანგრძლივი 1-2 წლიანი პერიოდი სჭირდება.

2.5. როგორც თვისებრივი კვლევის შედეგებიდან გამოვლინდა, ვაჭრობის დაფინანსების (trade finance) მიმართულება ძირითადად სტრუქტურულად კორპორატიული სექტორის დაქვემდებარებაში მოიაზრება, რადგან ამ კატეგორიის კომპანიები უფრო მეტად აცნობიერებენ ბიზნეს საქმიანობის დროს წარმოქმნილი რისკების დაზღვევის აუცილებლობას. შესაბამისად, აქცენტიც, კომერციული ბანკების მხრიდან სწორედ ამ სეგმენტზე კეთდება მაშინ, როცა დამწყები ექსპორტიორი კომპანიები ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები არიან. შედეგად რაოდენობრივ კვლევაშიც იკვეთება, რომ ექსპორტიორების დიდი ნაწილი არათუ არ სარგებლობს, არამედ

ინფორმაცია კი არ აქვთ ვაჭრობის დაფინანსების და რისკების დაზღვევის ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომლით სარგებლობაც შეუძლიათ საბანკო დაწესებულებებში. ამ ყოველივეზე ასევე მეტყველებს არათანაბარი მდგომარეობა სტანდარტული სასესხო პროდუქტებისა და ვაჭრობის დაფინანსებისა და რისკების ჰეჯირების ინსტრუმენტების სამოტივაციო სისტემაში ასახვის კუთხით. თანამშრომლებს უფრო მეტი მოტივაცია აქვთ კომპანიებს შესთავაზონ სტანდარტული კრედიტები, ვიდრე გარანტიები, აკრედიტივები ან უნდაც სავალუტო რისკის დაზღვევის ინსტრუმენტები.

რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, რომ კომერციული ბანკებისათვის ვაჭრობის დაფინანსებისა და რისკების ჰეჯირების მიმართულება გახდეს სტრატეგიული მნიშვნელობის. უფრო აქტიურად მოხდეს მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტთან კომერციული ბანკების მხრიდან მუშაობა ვაჭრობის დაფინანსებისა და რისკების დაზღვევის ინსტრუმენტების სარგებლიანობასთან დაკავშირებით და მოხდეს ამ ინსტრუმენტების ინტენსიური შეთავაზება კომპანიებისათვის, რაც თავისმხრივ მიღწევადია თანამშრომლებისათვის მოტივაციის სისტემაში აღნიშნული პროდუქტების გაყიდვის შედეგად მიღებული ძალისხმევის გათვალისწინებით. მოტივაციის სისტემაში ამ პროდუქტების გაყიდვის შედეგების ასახვა, ავტომატურ რეჟიმში გამოიწვევს ბანკის თანამშრომლების მხრიდან ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების ინტენსიურ შეთავაზებას და მომხმარებელთა როგორც ცნობიერების ამაღლებას, ასევე ამ ტიპის ფინანსური ინსტრუმენტების მოხმარების გაზრდას.

3. დასკვნები და რეკომენდაციები ვაჭრობის დაფინანსების სახელმწიფო პოლიტიკისა და ეროვნული და საერთაშორისო რეგულაციების მიმართულებით:

3.1. მიუხედავად ქვეყნისთვის ექსპორტის განვითარების სტრატეგიული მნიშვნელობისა, საქართველოში არ არსებობს ექსპორტზე ორიენტირებული სტრუქტურული ერთეული. 2016 წელს დაანონსების მიუხედავად ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ექსპორტის განვითარებაზე ორიენტირებული სტრუქტურული ერთეული - ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო. მის ნაცვლად 2018 წელს დაანონსდა ახალი სტრუქტურული ერთეულის, საგარანტიო ფონდის შექმნა, თუმცა ჯერ-ჯერობით არ არის მკაფიოდ განსაზღვრული მისი ფორმატი და არც ის არის

ცნობილი, რამდენად შეითავსებს ყველა იმ საკითხს, რაც მოიაზრებოდა ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტოს ფუნქციებში. საგარანტიო ფონდის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება – უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა მართალია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, მაგრამ არა ერთადერთი პრობლემაა ექსპორტის განვითარების მიმართულებით. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ კომერციული ბანკების წარმომადგენლების მოსაზრებით არის საფრთხე, რომ საგარანტიო ფონდი შეიქმნას “არსებული ვერსიის დამახინჯებით, რაც ქართველებს გვჭვევია”.

რეკომენდაცია: მაქსიმალურად დაჩქარდეს საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული და კონკრეტულად ექსპორტზე ორიენტირებული სტრუქტურის შექმნა, რომელშიც თავმოყრილი იქნება ექსპორტის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების კომპლექსურად მოგვარების ბერკეტები და ცალსახად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაციისა და ხელშეწყობის საქმეში. ასევე შესწავლილი იქნას საგარანტიო ფონდის საერთაშორისო პრაქტიკა და მაქსიმალურად სწორი ფორმატით, მხოლოდ საჭირო მოდიფიკაციებით მოხდეს მისი ადაპტირება ქართულ გარემოსთან.

3.2. საქართველოში არ არსებობს საექსპორტო კრედიტების სახელმწიფო დაზღვევა და მათ შორის არც კომერციული საბანკო და სადაზღვევო სექტორი სთავაზობს ექსპორტიორებს მსგავსი ტიპის პროდუქტს.

რეკომენდაცია: მიზანშეწონილია კომერციული ბანკებისა და ვაჭრობის ხელშეწყობის ორგანიზაციების მიერ მოხდეს უცხოურ ბაზარზე არსებული სხვა ეფექტური პროდუქტების ანალიზი და დანერგვა საქართველოში. ასევე, მიზანშეწონილია შესწავლილ იქნას უცხოური გამოცდილება და მისი გათვალისწინებით საქართველოში სადაზღვევო კომპანიების მხრიდან მოხდეს საექსპორტო კრედიტების დაზღვევის დანერგვა, რადგან ფიზიკური პირების სასესხო შენატანების დაზღვევა უკვე აქტიურად ფუნქციონირებს ბაზარზე და ექსპორტიორი კომპანიების სესხების იდენტიფიცირების გზით კონკრეტულად ამ სექტორის სესხების დაზღვევა მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება ექსპორტის განვითარებისათვის.

3.3. DCFTA-ს საინფორმაციო ცენტრებში ამ ეტაპზე ხორციელდება მხოლოდ პროდუქტის ევროკავშირში ექსპორტისათვის DCFTA-ს პროგრამებით სარგებლობისა და საკუთარი

პროდუქციის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება და კონსულტაცია. აღნიშნულ ცენტრებში ექსპორტიორი კომპანიების წარმომადგენლები ასევე იღებენ ინფორმაციას ქართული ექსპორტის მხარდასაჭერად ევროკავშირის ქვეყნებში არსებული სამთავრობო სტრუქტურებისა თუ ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი პროექტების შესახებ, თუმცა არ ხდება ექსპორტის დაფინანსების პროდუქტებისა და სავაჭრო რისკების დაზღვევის ინსტრუმენტების გაცნობა.

რეკომენდაცია: DCFTA-ს საინფორმაციო ცენტრებში DCFTA-ს მოთხოვნების გარდა სათანადო დონეზე იქნას წარმოდგენილი ვაჭრობის დაფინანსების შესაძლებლობები და ადგილზევე მოხდეს კომპანიების როგორც კონსულტაცია, ასევე ბანკების წარმომადგენლების მიერ განაცხადების მიღება ფინანსური რესურსის მოთხოვნაზე.

3.4. ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობრივი კვლევიდან გამოიკვეთა, რომ ვაჭრობის ხელშეწყობის არცერთი სახელმწიფო პროგრამით არ უსარგებლია კვლევაში მონაწილე კომპანიების 75%-ს. ეს ერთი მხრივ შესაძლოა გამოწვეული იყოს პროგრამების არაეფექტურობით ან იმიტ, რომ ვერ მოიცავს ყველა სეგმენტს და მხოლოდ ექსპორტიორთა კონკრეტულ სეგმენტებზეა აქცენტი გაკეთებული. ხოლო მეორე მხრივ, იმ შემთხვევაში, თუკი ის მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ 75%-ს არ სჭირდება სახელმწიფო დაფინანსება, შესაძლოა პოზიტიურადაც კი შეფასდეს, ასეთ შემთხვევაში შეიძლება სასურველიც კი იყოს, რომ კვლევის შედეგებში ეს მაჩვენებელი ყოფილიყო უფრო მეტი.

რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, რომ ეროვნული წარმოების ხელშეწყობის ნებისმიერი სახელმწიფო პროგრამა შეძლებისდაგვარად ხელმისაწვდომი იყოს სოციალური და სტრატეგიული მნიშვნელობის ყველა სეგმენტისათვის, მათ შორის სხვადასხვა სექტორების ექსპორტიორი კომპანიებისათვის და ამავდროულად აქტიურად განხორციელდეს მიზანმიმართული პროპაგანდა აღნიშნული პროგრამების შესახებ ცნობადობის ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიმართულებით.

3.5. ექსპორტისა და ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სესხებს ნამდვილად

გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა ექსპორტის მოცულობაზე, რადგან ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხების ერთი ერთეულით ცვლილება განაპირობებს ექსპორტის მოცულობის 5.598 ერთეულით ცვლილებას. შედარებით მცირე, მაგრამ მაინც საინტერესო გავლენა გააჩნია ექსპორტის განვითარებაზე გაცემულ გარანტიებს. რაც შეეხება არასაკრედიტო, გასვლით ღონისძიებებზე პროგრამა აწარმოე საქართველოს” ფარგლებში ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემულ დაფინანსებას, პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე მცირე რყევებით, მაგრამ მაინც ზრდის ტენდენცია ახასიათებს.

რეკომენდაცია: ექსპორტის დაფინანსების მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია დიდი ყურადღება მიექცეს სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტის დაფინანსების ხელმისაწვდომობის ზრდას არა მხოლოდ სესხების არამედ ვაჭრობის დაფინანსების სხვა პროდუქტების (გარანტიების, აკრედიტივების ა.შ.) მიმართულებით. სტაბილურად შენარჩუნდეს პროგრამა “აწარმოე საქართველოს” მიერ ექსპორტის ხელშეწყობისთვის გაცემული დაფინანსების ზრდადი ტენდენცია და დღევანდელი რეალობისგან განსხვავებით, აუცილებლად განხორციელდეს პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ექსპორტის განვითარების (უკუგების) ანალიზი, რაც ცალსახად იქნება აღნიშნული პროგრამის ეფექტიანობის და ექსპორტის განვითარებაზე მისი ზეგავლენის შეფასების საუკეთესო საშუალება.

3.6. ეროვნული ბანკის მიერ არ მოითხოვება ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების ჭრილში დეტალური ინფორმაცია კომერციული ბანკებისგან და მათი აღრიცხვა ხდება მხოლოდ გარებალანსურ ანგარიშზე, რაც ართულებს პროდუქტების იდენტიფიცირებას და ქმნის ინფორმაციულ ვაკუუმს ამ კუთხით. ქვეყნის ჭრილში არ არსებობს და არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემები ვაჭრობის დაფინანსებისა და ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების ჰეჯირების პროდუქტებთან დაკავშირებით, რაც დაეხმარება ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ ორგანოებს გააანალიზონ არსებული მდგომარეობა და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები ამ სფეროს განვითარებისთვის. აღრიცხვიანობის პრობლემა ფიქსირდება არამხოლოდ ეროვნული ბანკის, არამედ ზოგადად

სტატისტიკის სამსახურის კუთხითაც, რაზეც მიმდინარეობს მუშაობა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი საერთაშორისო ვაჭრობის აღრიცხვიანობის დახვეწის მიმართულებით.

რეკომენდაცია: *ეროვნული ბანკისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ სტატისტიკურ ინფორმაციათა ნუსხაში შევიდეს და ბანკებს ეთხოვოთ ვაჭრობის დაფინანსებისა და რისკების დაზღვევის პროდუქტების ჭრილში ინფორმაციის წარმოება, რაც სახელმწიფო სტრუქტურებსა და საფინანსო ორგანიზაციებს მისცემს საშუალებას მრავალმხრივ ჭრილში გააანალიზონ ამ მიმართულებით არსებული ხარვეზები და გამოწვევები და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები. სწორედ ამ ასპექტით ეროვნულმა ბანკმა უნდა მოახდინოს ამ ტიპის სტატისტიკური ინფორმაციის თავმოყრა და საჯაროდ განთავსება.*

3.7. საქართველოში არ არსებობს ვაჭრობის დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხების პერმანენტული კვლევის გამოცდილება, შესაბამისად საქართველოს შესახებ ამ ტიპის მონაცემების მოძიება შესაძლებელია მსოფლიო ბანკის ეგიდით 3-4 წელიწადში ერთხელ ჩატარებული საწარმოთა კვლევის შედეგებიდან.

რეკომენდაცია:

- *ქვეყნის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ეკონომიკისა და ვაჭრობის განვითარების მიმართულებებში) დაევალოთ ვაჭრობის და კონკრეტულად ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით გაცემული დაფინანსების ეფექტიანობის მუდმივი სტატისტიკისა და მონიტორინგის წარმოება. აღნიშნული ეხება დაფინანსების როგორც ადგილობრივ (კომერციული ბანკები და სახელმწიფო პროგრამები), ასევე საერთაშორისო წყაროებს (საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები).*

- *საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების ხელშეწყობის მიმართულებით მიზანშეწონილია საქართველოში პერმანენტული ხასიათი მიეცეს როგორც სამეცნიერო საზოგადოების მხრიდან, ასევე ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრუქტურების მიერ კვლევების ჩატარებას, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას, რომ თეორიული ანალიზის გარდა გაკეთდეს მიზანმიმართული დასკვნები ვაჭრობის დაფინანსების კუთხით არსებული პრობლემების შესახებ და შემუშავებულ იქნას ღირებული რეკომენდაციები, რომელთა*

გათვალისწინება ეკონომიკური პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოების მხრიდან გამოიწვევს დადებით შედეგებს ამ მიმართულების განვითარების კუთხით.

3.8. ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობრივი კვლევის მიხედვით აქტუალურ პრობლემად დაფიქსირდა ვაჭრობის დაფინანსების ტარიფებთან და უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით კომერციულ ბანკებთან ჩაღრმავებული ინტერვიუების დროს დაფიქსირდა შემდეგი სახის პრობლემატიკა: ა) საპროცენტო განაკვეთები მიბმულია არა მხოლოდ ბანკის რისკზე (რაც წარმატებული ბანკების შემთხვევაში საკმაოდ კარგი მაჩვენებელია), არამედ ქვეყნის მაკროეკონომიკურ და სხვა კატეგორიის რისკებზე. საპროცენტო განაკვეთების გენერირებისას სწორედ ქვეყნის რისკია პირველი “ალერტორი”. შესაბამისად, უფრო მოქნილი ტარიფების შეთავაზების საკითხს “ზღუდავს ქვეყნის რისკი”, რომელიც საკმაოდ არასახარბიელოა Bern Union-ის მიხედვით. შესაბამისად, კომერციული ბანკების პარტნიორი საფინანსო ინსტიტუტები ცდილობენ ან ნაღდი ფულით უზრუნველყოფილ გარანტიებზე ითანამშრომლონ ქართულ ბანკებთან, ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (EBRD, IFC) გარანტიებს ითხოვენ, რაც ასევე აძვირებს ფასს. ბ) უზრუნველყოფის კუთხით ფიქსირდება შემდეგი სახის პრობლემა: ამ ეტაპზე ბანკებს არ აქვთ უფლება, რომ უზრუნველყოფაში ჩაიდონ ტრანზიტში მყოფი საქონელი, მათ შორის მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხდება დამატებით უზრუნველყოფად გათვალისწინება.

რეკომენდაცია: ა) მიზანშეწონილია Bern Union-თან და სხვა საერთაშორისო რეიტინგულ კომპანიებთან ქვეყნის ლობირება და ადვოკატობა განახორციელოს მთავრობამ და აწარმოოს მოლაპარაკება ქვეყნის რეიტინგის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ამისათვის, სახელმწიფო სტრუქტურებმა უფრო მეტად უნდა გაზარდონ საერთაშორისო რეიტინგული კომპანიების რაოდენობა, რომლებთანაც ითანამშრომლებენ. ბ) საინტერესო ინიციატივა იქნება სახელმწიფოს მხრიდან, თუკი ბანკებს მიეცემათ შესაძლებლობა სათანადო დაზღვევის არსებობის შემთხვევაში დამატებით უზრუნველყოფაში სტანდარტულად გაითვალისწინონ ტრანზიტში მყოფი საქონელიც, თუმცა აუცილებელია სათანადოდ შეფასდეს და დაიზღვეს

ამგვარი უზრუნველყოფის რისკიანობა, რომ თავად ბანკებს არ გაეზარდოთ უზრუნველყოფის დაკარგვის რისკი.

3.9. “გრანტების შესახებ” საქართველოს კანონში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, რომ შესაძლებელია ექსპორტიორი კომპანიების დაფინანსება, რაც გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნის მათთვის ალტერნატიული დაფინანსების მოპოვების კუთხით. რაოდენობრივ კვლევაშიც ზუსტად ამ საკითხს უსვამენ ხაზს ექსპორტიორი კომპანიები.

რეკომენდაცია: მიუხედავად იმისა, რომ ყველა კატეგორიის ექსპორტიორის გრანტით დაფინანსება სახელმწიფოს შესაძლებლობებს აღემატება, მიზანშეწონილია, რომ გაფართოვდეს კანონის მოქმედების არეალი და გრანტის მიმღებთა შორის განისაზღვროს; სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საექსპორტო მიმართულებები. ასევე მოხდეს კანონში გრანტის მიმღებთა მუხლში შემდეგი ფორმულირების ჩამატება: “ექსპორტიორი კომპანიები, რომლებიც განახორციელებენ ინოვაციური მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოებას და გატანას კონკურენტულ ბაზრებზე”.

3.10. სახელმწიფოსა და საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან ექსპორტიორ კომპანიებზე კონცენტრირების დაბალ დონეზე მეტყველებს უცხოური ბანკების ქართული წარმომადგენლობების მხრიდან თურქული ექსიმბანკის იაფი რესურსის მხოლოდ თურქული იმპორტისთვის გამოყენების ფაქტი. დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე ლიმიტები ვრცელდება მხოლოდ თურქულ იმპორტზე.

რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, რომ უცხოური კომერციული ბანკის ქართული წარმომადგენლობისა და სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს მოლაპარაკება თურქულ ექსიმ ბანკთან, რომ გარკვეული ლიმიტის ფარგლებში მათი იაფი რესურსით შესაძლებელი გახდეს ქართული ექსპორტის დაფინანსება.

3.11. დღესდღეობით ეროვნული ბანკის რეგულაციების მიხედვით კომერციული ბანკებისთვის (აღნიშნული ეხება უცხოური ბანკების წარმომადგენლობებს საქართველოში) დაკავშირებული პირების ინდექსი (related party ratio) საკმაოდ დაბალ ნიშნულზეა, რაც არ აძლევს მათ საშუალებას სარგებლონ საკუთარი დედა კომპანიის იაფი რესურსით და იძლიებულები ხდებიან გამოიყენონ სხვა ინსტიტუტების ძვირი რესურსი,

რაც საბოლოო ჯამში კომპანიებისთვისაც აძვირებს საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობას.

რეკომენდაცია: სასურველია, რომ მოხდეს ეროვნული ბანკის მიერ აღნიშნული რეგულაციის გადახედვა და ინდექსის არა ცალსახად ერთ ნიშნულზე დაფიქსირება, არამედ მოქნილი მიდგომის გავრცელება. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუკი ინდექსის გამო ბანკს უწევს მომხმარებლისთვის საკრედიტო პროდუქტის გამძვირება, მაშინ გამონაკლისად დაიშვას ინდექსის ნიშნულისგან გადახრა ეროვნული ბანკისთვის მიზანშეწონილი განაკვეთის ფარგლებში.

3.12. კომერციული ბანკების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ფიქსირდება ბაზელის რეგულაციების გამკაცრების ფაქტები, რამაც მათი განცხადებით ბევრი ბანკი დააზარალა და ზოგიერთი მათგანი საერთოდ გავიდა ვაჭრობის დაფინანსების ბაზრიდან.

რეკომენდაცია: იქიდან გამომდინარე, რომ კომერციული ბანკების გამოკითხვის შედეგად დაფიქსირდა პოსტკრიზისულ პერიოდში ბაზელის რეკომენდაციების ნეგატიური გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე, მიზანშეწონილია მოხდეს ბაზელის კომიტეტის რეგულაციების გადახედვა და ბალანსის დაცვა, რათა კრიზისის პრევენციის მიზნით შექმნილი რეგულაციები არ აღმოჩნდეს ეკონომიკის საკვანძო მნიშვნელობის მქონე სექტორის შეფერხების საფუძველი. ასევე მიზანშეწონილია, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბაზელის რეგულაციების ადაპტირების გზით ხელი შეეწყოს ქვეყნაში ვაჭრობის დაფინანსების ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას.

დანართები

დანართი #1: ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობრივი კვლევის კითხვარი

*** კითხვარი შედგენილია Google Forms-ში

ექსპორტიორი კომპანიების დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემატიკის კვლევა

ზოგადი კითხვები

ანკეტის ნომერი

კომპანიის დასახელება

01. თქვენი კომპანიის ტიპი წლიური ბრუნვის მიხედვით?

- მსხვილი (1.5 მლნ ლარზე მეტი)
- საშუალო (0.5 მილიონიდან 1.5 მილიონ ლარამდე)
- მცირე (300 000 ლარიდან 500 000 ლარამდე)
- მიკრო (300 000 ლარამდე)

02. რამდენი ხანია, რაც თქვენი კომპანია ფუნქციონირებს (პერიოდი დაფუძნების წლიდან დღემდე)?

- 5 წელზე მეტი
- 3-დან 5 წლამდე
- 1-დან 3 წლამდე
- 1 წელზე ნაკლები

03. თქვენი კომპანიის საექსპორტო პროდუქციის სახეობა(ები):

- | | |
|---|--|
| ○ სასმელი და მინერალური წყალი | ○ მადნების მოპოვება და მათი გამდიდრება |
| ○ ტექსტილი | ○ ხორცპროდუქტები |
| ○ წვენები (მათ შორის ნატურალური) | ○ თევზის ნაწარმი |
| ○ ჩაი | ○ ავტომობილები და ავტონაწილები |
| ○ ხილისა და ბოსტნეულის პროდუქტები | ○ მომსახურების ექსპორტი |
| ○ თხილი, კაკალი | ○ სატრანსპორტო საშუალებები, მოწყობილობები, დანადგარები |
| ○ მერქანი და ხის პროდუქტები | ○ სხვადასხვა სამრეწველო საქონელი |
| ○ ლითონები, მათ შორის ფერადი, იშვიათი და ძვირფასი ლითონების | ○ სხვა |

04. გისარგებლიათ თუ არა საბანკო კრედიტით ექსპორტის დასაფინანსებლად?

- კი
- არა

05. დაასახელეთ მიზეზები, რის გამოც არ გისარგებლიათ ექსპორტის დასაფინანსებლად საბანკო კრედიტით

- კომპანიას გააჩნია საკუთარი რესურსი ექსპორტის განსახორციელებლად
- რთულია საბანკო კრედიტით სარგებლობა
- უპირატესობას ვანიჭებ ფირმათაშორის დაკრედიტებას (ავანსით ანგარიშსწორება...)
- ყველა
- არ ვიცი

06. დაასახელეთ საბანკო კრედიტით სარგებლობის სირთულეები

- მაღალი საპროცენტო განაკვეთი და საკომისიოები
- უზრუნველყოფის მაღალი მოთხოვნები
- შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოთხოვნა
- ყველა ზემოთჩამოთვლილი
- სხვა

A ბლოკი – საექსპორტო საქმიანობის შესახებ ინფორმაცია

A1. რამდენი ხანია, რაც ექსპორტს ახორციელებთ

- 0-2 წელი
- 3-4 წელი
- 5-10 წელი
- 10 წელზე მეტი

A2. ძირითადი ქვეყნები, სადაც ახორციელებთ ექსპორტს

*** მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე*

- | | | |
|--------------------------------------|---------------------------------------|---|
| <input type="checkbox"/> რუსეთი | <input type="checkbox"/> რუმინეთი | <input type="checkbox"/> ფინეთი |
| <input type="checkbox"/> თურქეთი | <input type="checkbox"/> ნიდერლანდები | <input type="checkbox"/> ნორვეგია |
| <input type="checkbox"/> ჩინეთი | <input type="checkbox"/> საბემნეთი | <input type="checkbox"/> ლიტვა |
| <input type="checkbox"/> აზერბაიჯანი | <input type="checkbox"/> ბელგია | <input type="checkbox"/> ლატვია |
| <input type="checkbox"/> სომხეთი | <input type="checkbox"/> პორტუგალია | <input type="checkbox"/> კვიპროსი |
| <input type="checkbox"/> უკრაინა | <input type="checkbox"/> ჩეხეთი | <input type="checkbox"/> სლოვენია |
| <input type="checkbox"/> აშშ | <input type="checkbox"/> უნგრეთი | <input type="checkbox"/> ესტონეთი |
| <input type="checkbox"/> გერმანია | <input type="checkbox"/> შვედეთი | <input type="checkbox"/> ლუქსემბურგი |
| <input type="checkbox"/> საფრანგეთი | <input type="checkbox"/> ავსტრია | <input type="checkbox"/> მალტა |
| <input type="checkbox"/> იტალია | <input type="checkbox"/> ბულგარეთი | <input type="checkbox"/> გაერთიანებული სამეფო |
| <input type="checkbox"/> ესპანეთი | <input type="checkbox"/> დანია | <input type="checkbox"/> სხვა ქვეყნები |
| <input type="checkbox"/> პოლონეთი | <input type="checkbox"/> სლოვაკეთი | |

A3. გთხოვთ მოიუთითოთ, რამდენად გააფართოვეთ თქვენი საექსპორტო საქონლის ასორტიმენტი ბოლო 5 წლის მანძილზე:

- დაემატა 1-2 სახეობის ახალი საქონელი
- დაემატა 2-5 სახეობის ახალი საქონელი
- დაემატა 5-10 სახეობის ახალი საქონელი
- დაემატა 10-ზე მეტი სახეობის ახალი საქონელი
- შემცირდა საექსპორტო საქონლის სახეობების რაოდენობა 1-2-ით
- შემცირდა საექსპორტო საქონლის სახეობების რაოდენობა 2-5-ით
- შემცირდა საექსპორტო საქონლის სახეობების რაოდენობა 5-10-ით
- შემცირდა საექსპორტო საქონლის სახეობების რაოდენობა 10-ზე მეტით
- არ შეცვლილა საექსპორტო სახეობების რაოდენობა

A4. გთხოვთ მიუთითოთ რამდენად შეიცვალა ბოლო 5 წლის მანძილზე თქვენი კომპანიის მიერ განხორციელებული ექსპორტის მოცულობა:

- | | |
|----------------------------|----------------------------|
| ○ გაიზარდა 1%-დან 5%-მდე | ○ შემცირდა 5%-დან 10%-მდე |
| ○ გაიზარდა 5%-დან 10%-მდე | ○ შემცირდა 10%-დან 20%-მდე |
| ○ გაიზარდა 10%-დან 20%-მდე | ○ შემცირდა 20%-ზე მეტად |
| ○ გაიზარდა 20%-ზე მეტად | ○ არ მეხება |
| ○ შემცირდა 1%-დან 5%-მდე | |

A5. გთხოვთ მიუთითოთ რამდენად შეიცვალა ბოლო 5 წლის მანძილზე თქვენი კომპანიის მიერ განხორციელებული ექსპორტის მოცულობა:

- | | |
|----------------------------|----------------------------|
| ○ გაიზარდა 1%-დან 5%-მდე | ○ შემცირდა 5%-დან 10%-მდე |
| ○ გაიზარდა 5%-დან 10%-მდე | ○ შემცირდა 10%-დან 20%-მდე |
| ○ გაიზარდა 10%-დან 20%-მდე | ○ შემცირდა 20%-ზე მეტად |
| ○ გაიზარდა 20%-ზე მეტად | ○ არ მეხება |
| ○ შემცირდა 1%-დან 5%-მდე | |

A6. ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან რა აფერხებს ყველაზე მეტად თქვენი ექსპორტის ზრდას?

	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ არ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები	არ ვიცი	არ მეხება
ვაჭრობის დაფინანსების შეზღუდულობა ბანკების მხრიდან							
არაეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით							
კონტრაქტორ ბანკებს შორის გართულებული ურთიერთობები							
ინფორმაციის ნაკლებობა ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამების შესახებ							

B ბლოკი – ვაჭრობის დაფინანსების შესახებ ინფორმაცია

ვაჭრობის ფირმათაშორისი დაკრედიტება

B1. გთხოვთ მიუთითოთ, ვაჭრობის ფირმათაშორისი დაკრედიტების რომელ ფორმას იყენებთ:

- ღია ანგარიშით ანგარიშსწორება (კონსიგნაცია)
- ავანსით ანგარიშსწორება
- ორივე
- არცერთი

B2. შეაფასეთ ვაჭრობის ფირმათაშორისი დაკრედიტების ფორმების მახასიათებლები მოცემულ შკალაზე

	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ არ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები	არ ვიცი	არ მეხება
საკომისიო დანახარჯების არ არსებობა							
ნაკლები ბიუროკრატია (დოკუმენტაციის მოთხოვნა)							
მაღალი რისკი							
დიდი მოცულობის საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნები							

B3. გთხოვთ მიუთითოთ რამდენად შეიცვალა ბოლო 5 წლის მანძილზე თქვენი კომპანიის მიერ გამოყენებული ვაჭრობის ფორმათაშორისი დაკრედიტების მოცულობა (ღია ანგარიშით ანგარიშსწორება, ავანსით ანგარიშსწორება):

- გაიზარდა 1%-დან 5%-მდე
- გაიზარდა 5%-დან 10%-მდე
- გაიზარდა 10%-დან 20%-მდე
- გაიზარდა 20%-ზე მეტად
- შემცირდა 1%-დან 5%-მდე
- შემცირდა 5%-დან 10%-მდე
- შემცირდა 10%-დან 20%-მდე
- შემცირდა 20%-ზე მეტად
- არ მეხება

ვაჭრობის დაკრედიტება ბანკების მიერ

B4. რომელი ბანკ(ებ)ში სარგებლობთ ვაჭრობის/ექსპორტის დაკრედიტების მომსახურებით?

- თიბისი ბანკი
- საქართველოს ბანკი
- ლიბერთი ბანკი
- ბაზისბანკი
- ვითიბი ბანკი ჯორჯია
- ბანკი ქართუ
- პროკრედიტ ბანკი
- სილქ როუდ ბანკი
- ზირაათი ბანკი საქართველო
- იმ ბანკი საქართველო
- ტერაბანკი
- ხალიკ ბანკი საქართველო
- პაშა ბანკი საქართველო
- აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველო
- ფინკა ბანკი საქართველო
- კრედო ბანკი
- სხვა
- არცერთის

B5. გთხოვთ შეაფასოთ ვაჭრობის (ექსპორტის) დაფინანსებისთვის მომსახურე ბანკების შერჩევისას მოქმედი ფაქტორების მნიშვნელოვნება.

	არ არის მნიშვნელოვანი	ნაწილობრივ მნიშვნელოვანია	მნიშვნელოვანია	ძალიან მნიშვნელოვანია	არ ვიცი	არ მეხება
ბანკის საიმედოობა/სანდოობა	○	○	○	○	○	○
ბანკის რეპუტაცია	○	○	○	○	○	○
პროდუქტის ფასი (% , საკომისიო)	○	○	○	○	○	○
ვადა	○	○	○	○	○	○
მოთხოვნილი უზრუნველყოფა	○	○	○	○	○	○
კადრების კომპეტენტურობა	○	○	○	○	○	○
კომპანიის საჭიროებებზე მორგებული შეთავაზებების გაკეთება	○	○	○	○	○	○

B6. ფლობთ თუ არა ინფორმაციას საერთაშორისო ვაჭრობის რისკების დაზღვევის რა საშუალებების შემოთავაზება შეუძლია ბანკს:

- კი
- არა

B7. ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის რომელი საბანკო პროდუქტებით სარგებლობთ

*** მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე*

- სავალუტო ფორვარდი (ვალუტის ყიდვა წინასწარ შეთანხმებული კურსით და წინასწარ შეთანხმებულ თარიღში)
- სვოპი (ორი ურთიერთსაპირისპირო ვალუტის გაცვლითი ოპერაცია, ერთი და იგივე თანხებით)
- სავალუტო ოფციონი (კოტრაქტი, რომელიც კომპანიას აძლევს უფლებას, მაგრამ არ ავალდებულებს შეასრულოს ვალუტის გაცვლითი ოპერაცია მომავალში წინასწარ განსაზღვრულ თარიღში და; წინასწარ განსაზღვრული კურსით)
- ფაქტორინგი (გადაუხდელობის რისკის დაზღვევა, ბანკის მიერ დებიტორული დავალიანების შესყიდვა დავალიანების ამოღების მიზნით)
- არ ვსარგებლობ არცერთით

B8. შეაფასეთ კომერციული ბანკების მიერ შემოთავაზებული ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტები.

*** თითოეულ პროდუქტს თან ახლდა დეტალური განმარტება*

	ძალიან ცუდი	ცუდი	საშუალო	კარგი	ძალიან კარგი	არ მისარგებლა	არ ვიცი პროდუქტის შესახებ
გარანტია	○	○	○	○	○	○	○
აკრედიტივი	○	○	○	○	○	○	○
ფაქტორინგი	○	○	○	○	○	○	○
ფიუჩერსი	○	○	○	○	○	○	○
ოფციონი	○	○	○	○	○	○	○
დოკუმენტური ინკასო	○	○	○	○	○	○	○
საკრედიტო ხაზი	○	○	○	○	○	○	○
საკრედიტო ბარათი	○	○	○	○	○	○	○
ოვერდრაფტი	○	○	○	○	○	○	○
საბანკო სესხი	○	○	○	○	○	○	○

B9. რამდენად შეიცვალა ბოლო პერიოდში ;; თქვენი საჭიროებები ზემოაღნიშნულ პროდუქტებთან დაკავშირებით

- გაიზარდა
- შემცირდა
- არ შეცვლილა
- არ მეხება

B10. ბოლო 1 წლის მანძილზე; მიმართეთ თუ არა ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების მოთხოვნით საბანკო დაწესებულებებს:

- მივმართე
- არ მივმართე, რადგან სავარაუდოდ უარს მეტყობდნენ
- არ მივმართე, რადგან საკმარისი საკუთარი რესურსები მქონდა
- არ მივმართე სხვა მიზეზების გამო

B11. მიიღეთ თუ არა სრულად თქვენი მოთხოვნილი თანხა

- სრულად დამაფინანსეს
- ნაწილობრივ დამაფინანსეს
- დამიმტკიცეს, თუმცა უარი განვაცხადე მაღალი ფასის (% , საკომისიოები) გამო
- მივმართე, მაგრამ უარი მითხრეს
- არ მეხება

B12. რამდენად ხშირად გთავაზობენ ბანკები ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებს:

- ძალიან ხშირად
- ხშირად
- იშვიათად
- ძალიან იშვიათად
- არასდროს

B13. შეაფასეთ საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გაწეული სერვისი ვაჭრობის დაფინანსების თვალსაზრისით.

	ძალიან ცუდი	ცუდი	საშუალო	კარგი	ძალიან კარგი	არ მეხება
მომხსახურების ხარისხი						
ფასები (%, საკომისიო)						
მოთხოვნილი უზრუნველყოფა						
ვადა						
პროცედურების სიმარტივე (ბიუროკრატიის ნაკლებობა)						

კლიენტის საჭიროებებზე მორგებული რჩევები/შეთავაზებები						
კლიენტის მოთხოვნებზე მორგებული გადაწყვეტილებები						
ვაჭრობის დაფინანსების ონლაინ ტრანზაქციების შესაძლებლობა (დიჯიტალიზაცია)						

B14. გთხოვთ მიუთითოთ; რამდენად შეიცვალა ბოლო 5 წლის მანძილზე თქვენი კომპანიის მიერ ვაჭრობის დასაფინანსებლად გამოყენებული საბანკო პროდუქტების მოცულობა

- გაიზარდა 1%-დან 5%-მდე
- გაიზარდა 5%-დან 10%-მდე
- გაიზარდა 10%-დან 20%-მდე
- გაიზარდა 20%-ზე მეტად
- შემცირდა 1%-დან 5%-მდე
- შემცირდა 5%-დან 10%-მდე
- შემცირდა 10%-დან 20%-მდე
- შემცირდა 20%-ზე მეტად
- არ მეხება

B15. თქვენი აზრით, ბოლო 5 წლის განმავლობაში რამდენად იმოქმედა წმინდა შემოსავლებზე (net income from trade finance) ბანკიდან აღებულმა დაფინანსებამ

- შემცირდა 5%-ით
- შემცირდა 10%-ით
- შემცირდა 10%-ზე მეტად
- გაიზარდა 5%-ით
- გაიზარდა 10%-ით
- გაიზარდა 10%-ზე მეტად
- არ შეცვლილა
- არ მეხება

B16. თქვენი აზრით, რამდენად შეცვლილია ფინანსებზე ხელმისაწვდომობა (გამკაცრდა ან გამარტივდა დაკრედიტების პოლიტიკა) თქვენი მომსახურე ბანკების მხრიდან ბოლო 1 წლის განმავლობაში:

- გაუმჯობესდა
- გაუარესდა
- არ შეცვლილა
- არ ვიცი
- არ მეხება

B17. თქვენი აზრით, რამდენად შეიცვალა ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებზე ფასები (საპროცენტო განაკვეთი, საკომისიოები, ტარიფები) ბოლო 1 წლის განმავლობაში:

- გაიზარდა
- შემცირდა
- არ შეცვლილა
- არ ვიცი

B18. გთხოვთ შეაფასოთ, რამდენად მოახდინა გავლენა ვაჭრობის დაფინანსებაზე ბანკების მხრიდან KYC (Know Your Client) და AML(Anti-Money Laundering) რეგულაციების დანერგვამ:

- საერთოდ არ მოუხდენია გავლენა
- უმნიშვნელოდ მოახდინა გავლენა
- გაართულა ვაჭრობის დაფინანსების მიღება
- გაამარტივა ვაჭრობის დაფინანსების მიღება
- არ ვიცი

B19. რამდენად ხშირად მიგიღიათ უარყოფითი პასუხის ვაჭრობის დაფინანსებასთან დაკავშირებით თქვენს მიერ ბანკში შეტანილ განაცხადზე

- | | |
|-----------------|-------------------|
| ○ ძალიან ხშირად | ○ ძალიან იშვიათად |
| ○ ხშირად | ○ არ მომხდარა |
| ○ იშვიათად | ○ არ მეხება |

B20. გთხოვთ მიუთითოთ უარის მიზეზი:

- | | |
|---|-----------------------------------|
| ○ უარყოფითი საკრედიტო ისტორია | ○ არასაკმარისი უზრუნველყოფა |
| ○ საექვო რეპუტაციის პარტნიორი (კონტრაგენტი) | ○ უარის მიზეზი არ დაუკონკრეტებიათ |
| ○ არასაკმარისი შემოსავლები | ○ სხვა |
| ○ არ მეხება | ○ არ ვიცი |

B21. თქვენი აზრით, ვაჭრობის დაფინანსების რა ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობს:

- მოითხოვება დიდი მოცულობის უზრუნველყოფა
- მაღალი საპროცენტო განაკვეთი
- არ არსებობს გრძელვადიანი დაფინანსების პრაქტიკა
- ბანკების მხრიდან გამკაცრდა ვაჭრობის დაფინანსების პოლიტიკა (მეტად იზღვევენ თავს)
- ბანკის კადრების ორიენტირებულები არიან გაყიდვებზე და არ მთვაზობენ ჩემს საჭიროებებზე მორგებულ პროდუქტებს

C ბლოკი – ვაჭრობის დაფინანსების ალტერნატიული წყაროები

C1. იყენებთ თუ არა ვაჭრობის დაფინანსების რომელიმე ალტერნატიულ წყაროს (fund raising)?

- გრანტები
- ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების) გამოშვება
- ინვესტორების მოზიდვა
- არასამთავრობო ორგანიზაციებისგან სახსრების მოზიდვა
- სახელმწიფო დაფინანსების (თანამონაწილეობის) მოპოვება
- არცერთს

C2. რა ძირითად პრობლემებს ხედავთ ალტერნატიული დაფინანსების მიმართულებით?

	საერთოდ უმნიშვნელო	ნაკლებად მნიშვნელოვანი	მნიშვნელოვანი	ძალიან მნიშვნელოვანი	არ ვიცი	არ მეხება
კანონმდებლობის გაუმართაობა						
ხალხის უნდობლობა ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების) მიმართ						
არამდგრადი საინვესტიციო გარემო						

D ბლოკი – ვაჭრობის დაფინანსების სახელმწიფო პროგრამები

D1. ვაჭრობის ხელშეწყობის ან დაფინანსების რომელი სახელმწიფო პროგრამით გისარგებლიათ?

- აწარმოე საქართველოში
- სტარტაპ საქართველო
- საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს პროექტები
- შეღავათიანი აგრო სესხები
- არცერთი

D2. როგორ შეაფასებდით თქვენს მიერ გამოყენებულ პროგრამ(ებ)ს:

- | | |
|---------------------------------|----------------|
| ○ ძალიან ეფექტურია | ○ არაეფექტურია |
| ○ ეფექტურია | ○ არ ვიცი |
| ○ არ იძლევა მნიშვნელოვან ეფექტს | ○ არ მეხება |

D3. გთხოვთ, დააფიქსიროთ თქვენი რეკომენდაცია ვაჭრობის დაფინანსების სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიმართულებით

E ბლოკი – მოლოდინები სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით

E1. ბოლო წლების მდგომარეობის გათვალისწინებით, როგორია თქვენი მოლოდინები თქვენი კომპანიის საექსპორტო მაჩვენებლების ზრდის მიმართულებით

- გაიზრდება
- არ შეიცვლება
- შემცირდება
- არ ვიცი

E2. როგორ გეგმავთ ექსპორტის დივერსიფიკაციას სამომავლოდ:

- არ ვგეგმავ
- ვგეგმავ გასაღების ბაზრების გაფართოებით
- ვგეგმავ საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაციით
- ვგეგმავ ინოვაციურ პროდუქტების ექსპორტზე გატანას
- ვგეგმავ, მხოლოდ თუკი გაიზრდება ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა
- არ ვიცი

E3. როგორია თქვენი მოლოდინები ვაჭრობის დაფინანსების (ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის) ზრდის მიმართულებით:

- გაიზრდება
- გაიზრდება უმნიშვნელოდ
- შემცირდება
- დარჩება იგივე
- არ ვიცი

დანართი # 2: ჩადრმავებული ინტერვიუს სახელმძღვანელო კითხვარი კომერციული ბანკების მენეჯმენტისთვის

A ბლოკი -ზოგადი ინფორმაცია

A1.ბანკის დასახელება

A2.ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით არსებული დეპარტამენტების (სტრუქტურული ერთეულების დასახელება/რაოდენობა)

A3.ვაჭრობის დაფინანსების შესახებ მომსახურების მიღება თქვენი ბანკის რამდენ ფილიალშია შესაძლებელი (ან %-ულად რა ნაწილია, სადაც შესაძლებელია ამ სერვისის მიღება

B ბლოკი -ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტები / ინსტრუმენტები/პროცესები

B1.რამდენად საკმარისია თქვენს მიერ შეთავაზებული პროდუქტები (რამდენად სრულფასოვნად აკმაყოფილებს ამ სექტორში არსებულ საჭიროებებს) და რა გამოწვევები არსებობს ამ მიმართულებით

B2.ვაჭრობის (ექსპორტის) დაფინანსების რომელ პროდუქტს გამოყოფდით, რომელსაც მსოფლიო პროდუქტების კატალოგიდან ვერ სთავაზობთ ქართულ კომპანიებს და რა მიზეზით (ფორფეიტინგი, სავაჭრო კრედიტის დაზღვევა?)

B3.TRADE FINANCE პროდუქტების მომსახურების უმეტესი ნაწილი ფილიალში ხორციელდება თუ დისტანციურად?

B4.რა მდგომარეობაა დისტანციური პროცესების ოპტიმიზაცია/დიჯიტალიზაციის მიმართულებით? რამდენად პრიორიტეტულია ეს საკითხი ბანკისთვის და ვაჭრობის დაფინანსების ტრანზაქციის რა ნაწილის გაკეთება არის შესაძლებელი დისტანციურად.

B5.რამდენად იგეგმება (თვლით რომ საჭიროა) კონკრეტულად ექსპორტიორ კომპანიების მოთხოვნებზე მორგებული პროდუქტების/პაკეტის (ნაკრების) შექმნა/პოზიციონირება ბანკების მხრიდან?

B6.რამდენად ხდება კომპანიებისთვის მათზე მორგებული პროდუქტების შეთავაზება, თუმ მხოლოდ გაყიდვების გეგმების მიზნებიდან გამოდიან ბანკის თანამშრომლები? ძირითადად სესხებზე აქვთ მკაცრი გეგმები და TRADE FINANCE პროდუქტების გეგმები როგორ აქვთ მიცემული?

B7.თქვენი აზრით, რატომ არის მომხმარებელთა ინფორმირების დაბალი დონე ვაჭრობის რისკების ჰეჯირების საბანკო ინსტრუმენტებთან დაკავშირებით? და რა უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით

C ბლოკი -მოკორესპოდენტო ბანკებთან ურთიერთობა

C1. ვაჭრობის დაფინანსების კუთხით თქვენი პარტნიორი ბანკების რაოდენობა

C2.ვაჭრობის დაფინანსების კუთხით თქვენი პარტნიორი ბანკების გეოგრაფიული არეალი:

- დასავლეთ ევროპა
- ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა
- ცენტრალური ამერიკა
- სამხრეთ ამერიკა
- რუსეთი
- განვითარებული აზია (იაპონია, კორეა, ჰონ-კონგი, სინგაპური)
- განვითარებადი აზია (ინდოეთის და ჩინეთის გარდა)
- ინდოეთი
- ჩინეთი
- აფრიკა

C3. რა პრობლემებს ხედავთ მოკორესპოდენტო ბანკებთან ურთიერთობაში და რამდენად ახდენენ გავლენას ვაჭრობის დაფინანსების ეფექტურობაზე

C4.რამდენად ოპტიმალურ ვადებში ხდება მათი მხრიდან რეაგირება

○

D ბლოკი - ბანკის დაკრედიტების პოლიტიკა ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით

- D1.** გამკაცრდა თუ არა ბანკების პოლიტიკა ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით და რა ძირითადი მიზეზების გამო (KYC, AML ა.შ.) თუ გამკაცრდა, როგორ იმოქმედა ვაჭრობის დაფინანსებაზე.
- D2.** დაახლოებით განაცხადების რამდენი %-ზე გიწევთ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება (2017 წელს დაუარებული განაცხადების წილი %)
- D3.** თქვენი აზრით რამდენად არსებობს რეზერვები, რომ შერბილდეს უზრუნველყოფის მაღალი მოთხოვნები ბანკების მხრიდან
- D4.** რამდენად შესაძლებელია, რომ ვაჭრობის დაკრედიტებისას მოხდეს ვადების გაზრდა (ერთ-ერთ შემთხვევაზე ფაქტორად ექსპორტიორ კომპანიებში სახლდება ვადა).
- D5.** ჩამოთვალეთ დაუარებული განაცხადების ძირითადი მიზეზები
- D6.** რამდენად ხშირია საჩივრები, პრეტენზიები, ფროდები ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებთან დაკავშირებით და ბოლო პერიოდში ხომ არ გაზრდილა მიზეზები
- D7.** რამდენად გაიზარდა ფასები ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებზე და რამ განაპირობა

E ბლოკი – ვაჭრობის დაფინანსების საბანკო პოლიტიკაზე მოქმედი ფაქტორები

E1. თქვენი აზრით, ვაჭრობის დაფინანსების რა ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობს:

- KYC, AML
- გამცემი ბანკის დაბალი საკრედიტო რეიტინგი
- ქვეყნის დაბალი საკრედიტო რეიტინგი
- ბაზელის მარეგულირებელი მოთხოვნები
- კომპანიის დაბალი რეიტინგი
- არასაკმარისი უზრუნველყოფა
- ტრანზაქციის მაღალი ღირებულება
- კლიენტის ნეგატიური გამოცდილება ამ ინსტრუმენტებით სარგებლობისას
- თქვენი ბანკის კაპიტალისადმი გამკაცრებული მოთხოვნები
- ბანკის თანამშრომლების ნაკლები კომპეტენცია/მოტივაცია
- მომხმარებელთა ინფორმირებულობის დაბალი დონე
- ბაზრის დაბალი ხარისხი

E2. როგორ შეაფასებდით სახელმწიფოს ახალ ინიციატივას საკრედიტო-საგარანტიო რეფორმასთან დაკავშირებით? (ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ნაწილში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა)

E3. გთხოვთ გვითხრათ რა გავლენას ახდენს ბაზელ III-ის რეგულაციები ვაჭრობის დაფინანსებაზე.

E4. რა გავლენას ახდენს ეროვნული ბანკის რეგულაციები თქვენი მხრიდან ვაჭრობის დაკრედიტების პოლიტიკის განსაზღვრაზე. რის გაუმჯობესებას ისურვებდით

E5. რა გავლენას ახდენს საერთაშორისო ინსტიტუტების ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამებში (EBRD, ADB) ჩართულობა თქვენი მხრიდან ვაჭრობის დაკრედიტების პოლიტიკის განსაზღვრაზე. რის გაუმჯობესებას ისურვებდით.

E6. რა გავლენას ახდენს ვაჭრობის დაფინანსების სახელმწიფო პროგრამები (თანამონაწილეობა) თქვენი მხრიდან ვაჭრობის დაკრედიტების პოლიტიკის განსაზღვრასა და ვაჭრობის დაფინანსების ბაზრის განვითარებაზე

E7. თქვენი აზრით რა უნდა გაკეთდეს ვაჭრობის დაკრედიტების ბიზნესის განვითარების/ხელშეწყობის მიმართულებით

დანართი #3: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბაზის მიერ მოწოდებული ექსპორტიორი კომპანიების სია

**** აღნიშნული სიიდან შემთხვევითი შერჩევით გამოიკითხა 128 კომპანია*

- | | | |
|------------------------------------|---|--|
| • შპს არომპროდუქტი | • სს კომპანია "მედინსერვი" | • შპს კავკასიის ავტომპორტი |
| • შპს ასკანელი ძმები | • შპს გეა | • შპს "კაპაროლ ჯორჯია" |
| • შპს "დაჩი-98" | • სს "საქართველოს მილსადენების კომპანიის" ფილიალი | • შპს ქართული სადისტრიბუციო-მარკეტინგული კომპანია |
| • შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა | • სს ჯი პი სი | • შპს "წინანდალი" |
| • შპს "ჯი-თი გრუპ" | • შპს "მანა" | • შპს სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი |
| • შპს კანტი | • შპს ორიენტი | • შპს აპტოს |
| • შპს მატექს ჯორჯია | • შპს ორიფლეიმ ჯორჯია | • შპს "ართთაიმი" |
| • შპს "მეტეორი" | • ბი-ფი ექსპლორეიშენ (შაპ დენიზ) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალი | • შპს ნოვა |
| • შპს ACC Distribution | • სს ელმავალმშენებელი | • სს "სტიმორ ასოსიატეს ს.ა.წარმომადგენლობა საქართველოში" |
| • შპს ზენიტ ფარმა | • შპს "ავთანდილ ცქვიტინიძე" | • შპს პიუნიკ-ჯორჯია |
| • შპს მიდმასტერი | • შპს თეგეტა მოტორსი | • შპს "M SERVIZI" |
| • შპს აბრის დისტრიბუშენ ეიჯი | • შპს ლალი | • შპს "სიფუდ გრუპ" |
| • შპს იონფაშ ჯორჯია | • შპს ყაზბეგი 1881 | • შპს ზუმერი ჯორჯია |
| • შპს "პრაიმი - ჯი" აგრომშენ ჯორჯი | • შპს "არტ ლაინ სტუდია" | • შპს "ბენე" |
| • შპს კოლხიდა XXI | • შპს ევროპროდუქტი | • სს "თელიანი ველი" |
| • შპს მბმ | • შპს ტიბია | • შპს ვაინმენ |
| • შპს გოა და კომპანია | | • შპს "გურამექსი" |
| • შპს ბიოტექსი | | |
| • შპს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია | | |

- შპს ემბავუდ ჯორჯია
- შპს გ და ა ტრანს კომპანი
- შპს "ელსელემა"
- შპს "კლინტექ"
- შპს ჯი ემ ეს
- შპს "ბატონო"
- შპს იუნიგრეინ ჯორჯიან გრუპ
- შპს "უნიმენტი"
- შპს ავტოლაინი
- შპს ქართული პლანტაციები
- შპს აგრიჯორჯია
- შპს სამკერვალო ფაბრიკა ლაურა ლაჭავა
- შპს ვანდომ
- შპს ვეტფარმი
- შპს კამპა
- შპს ალკოპოლური სასმელების ქარხანა
- შპს ევროტექნიკს ჯორჯია
- შპს აქვა გეო
- შპს "ჰაიდელბერგ ჯორჯია"
- შპს პატარა მზე
- შპს ჰალიბარტონ ბრესვოთერ ბი-ვის ფილიალი საქართველოში
- შპს ჯეო-კოოპ
- შპს აკალამი
- შპს ბაუერ ჯორჯია ფაუნდეიშენ სპეციალისტს
- შპს "ჯეო-პლენტი"
- შპს "ჯითიეი კომპანი"
- შპს მეტალლაინი
- შპს "თაზი"
- სს თიბისი ბანკი
- "აიდიეს ბორჯომი საქართველო, შპს "აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალი"
- შპს "მეგაკო"
- შპს გეოპლანტი
- შპს ფრონტერა ისტერნ ჯორჯია
- შპს ეი-ბი-სი ფარმაცია
- შპს კორპორაცია ქართული ღვინო
- შპს "ადვ-ტოგო"
- შპს "ნეოპრინტი"
- სს იბერია რეფრეშმენტსი
- შპს სი-ფი-აი ჯორჯია
- შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი
- შპს სამთო კომპანია ფარავანპერლიტი
- შპს იბერია
- შპს "ზ.ვ. მეტალი"
- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი მილსადენის კომპანია (საქართველო)
- სს შატო მუხრანი
- შპს ტიფლისსკი ვინნი პოგრებ
- შპს უშბა დისტილერი
- სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველო
- შპს "კანარგო ჯორჯია"
- შპს კომპანია ბესინი
- შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი
- შპს არქთრეიდი
- შპს "პროფლაინ კოსმეტიქსი"
- შპს ვინივერია
- შპს აგრიკომი
- შპს ინოვატორი
- შპს "უნიტრეიდი"
- ტრესტ ნეფთგაზთიქინთის წარმომადგენლობა საქართველოში
- შპს ჯორჯია სთილ მილს ლიმიტედი
- შპს კასპიან ველ სერვისის საქართველო-ს ფილიალი საქართველოში
- შპს "ალიანსი-საქართველო"
- საქართველოში შპს მგს-ის წარმომადგენლობა
- სს ენერგო - პრო ჯორჯია
- შპს პეპელა
- შპს "ბეიბი ლაინი"
- შპს ი.ს.ი. საქართველო
- შპს კნაუფ გიპს თბილისი
- შპს "აკადემია"
- შპს საგა იმპექსი
- შპს "მასტერ თრეიდი"
- შპს კახური ღვინის მარანი
- შპს ალფა პეტი
- შპს შუხმან ვაინს ჯორჯია
- შპს დიუთი ფრი ალიანსი
- შპს "ბოში - გრუპ"
- შპს კავკასიის ტექნიკური სერვისი
- შპს იაა მოტორსი

- შპს ევო დისტრიბუშენ
- შპს ბიბეროლლუ ჯორჯია
- შპს შალვინო
- შპს მონტაჟ ჯორჯია
- შპს გიდანო
- შპს "პაუერ ენდ ბიუთი"
- შპს ადონის +
- შპს ბარამბო
- შპს "ენერგეტიკული ალიანსი"
- შპს ტექნოჰაუს
- შპს "ტექ მაიკრო დისტრიბუშენ ჯორჯია"
- შპს ლეგომეტალი
- შპს ჯორჯიან ქარდბოარდი
- შპს "ჯეო ავტო 1"
- შპს კასა მია
- შპს ტექნო ბუმი
- შპს რისპა
- შპს "გ.ბ. კონსალტინგი"
- შპს ბიდი კომპანი
- შპს გალაქსი
- სს თბილისის თამბაქო
- შპს "ნიკა"
- შპს დუგლამეების ღვინოების კომპანია
- შპს აისი
- შპს მიტერა
- შპს ემ. ეი. მოტორს
- შპს დაზგა
- სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
- შპს ჯი-ი-თი
- შპს დიაიეფდი
- შპს "რამ პოლიტექსი"
- სს ლილო 1
- შპს "ჯი - თი - მოტორს"
- შპს ლიბო გრუპ
- შპს მ. ჰაუზ+
- შპს აგრო თრეიდინგ ჯორჯია
- შპს კრისტალ ქრაფტ
- შპს სურნელი 2008
- შპს I.M.T.C.
- შპს "ჰოსპიმედ ჯორჯია"
- შპს დაფნა
- შპს ჯორჯიან მობაილ იმპორტი
- შპს "ინტერმედსერვის ჯორჯია"
- შპს კარტლის აგროსისტემები
- შპს "დელტა-დე"
- შპს ჯორჯიან ეარვეისი
- შპს ჯორჯიან ვაინს პროდუსინგ კომპანი
- შპს "ავერსი-რაციონალი"
- სს თბილღვინო
- შპს სხივი-1
- სს ბაგრატიონი-1882
- სს სარაჯიშვილი
- შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი
- შპს "კომოდინი"
- შპს ჯი-ეს-სი
- შპს ალტა
- შპს კავკასუს ონლაინი
- შპს "ჯი-ემ-პი"
- შპს ავერსი-ფარმა
- შპს ბაზალტ ფაიბერს
- სს "ბიოფარმი"
- სს სამკერვალო კომპანია "იმერი"
- შპს ინჯაფა
- შპს ფარკონი
- შპს FRESH-GEORGIA
- სს "კორპორაცია "ფოთის საზღვაო ნავსადგური"
- შპს პალიასტომი-2004
- შპს აისბერგი 2
- შპს ჭიათურმანგანუმ ჯორჯია
- შპს "ნიკა 2004"
- სს კავკასიან პეტ კომპანი
- შპს ემენ ქემიკალ ჯორჯია
- შპს ფლორეალი
- შპს გეო-ალკო
- შპს რუსმეტალი
- შპს ჯეოსთილი
- შპს გეოპრიპრავა
- შპს ჯეოფერომეტალი
- შპს სამეგობრო
- შპს საქართველო
- შპს იმედი - 96
- შპს ფალავანი
- შპს ქართული ღვინის სახლი
- შპს "ანტონი და კომპანია"
- შპს "ბიო ჯუსი"
- შპს "ლეგი ჯგუფი"
- შპს "ნატურალი 7"
- შპს გსქ კულა
- შპს "გარანტი"
- შპს ქესკია
- შპს გიორგი 21
- შპს "დიოსკურია XXI"
- შპს "თოკა"
- შპს ვესტნათი
- შპს საგა-2008
- შპს გრენდ ნათ
- შპს აველანო
- შპს ევრონათი
- შპს ბესტ-ნათ
- შპს ევრო-ნათსი-2009
- შპს "მესხეთი-95"
- შპს "თერნალი-ჩაი"

- შპს გეგუთი 2005
- შპს ხვანჭკარა
- შპს ჯეი ეს ეს
- შპს ჯადვარი-აბიეს
- შპს ალექსანდრეული
- სს "ლომისი"
- შპს შენ ჯორჯია
- შპს ბუნება
- შპს ბადაგონი
- სპს აფთიაქი "ლეითი"
- შპს საირმე მინერალ ვოთერს
- შპს გუგული
- სს RMG Copper
- შპს RMG Gold
- შპს სავანეთი 99
- შპს "ავტოკომპლექსი"
- შპს ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია
- შპს "ვაჩნადიანი"
- შპს გურჯაანის ღვინის მარანი
- სპს სპს თენგიზ ბალუაშვილი ქართული ვაზი და ღვინო
- შპს ტემპი+
- შპს ალკოჰოლური სასმელების კომპანია ალავერდი
- შპს ჩარგალის წყაროები
- შპს ვუდმენ
- სს საქვაბელი
- შპს ეკომეტალი
- შპს ჯორჯიან მანგანუზი
- შპს რიონი ვუდი
- შპს საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)
- სს თელავის ღვინის მარანი
- შპს "წინანდლის ძველი მარანი"
- შპს კახური
- შპს "ღვინის კომპანია შუმი"
- შპს წინანდალი - XXI საუკუნის საუკეთესო ღვინოები
- შპს ნაკარალი
- შპს გრუზვინპრომი
- სს "საქართველოს ნატურალურპროდუქტთა კომპანია"
- შპს თიემთი
- შპს "ქინძმარაული"
- შპს ლაშარელა
- სს მინა
- შპს ვაზი+
- შპს ორბი-ალკო
- შპს ტოიოტა კავკასია და ცენტრალური აზია
- შპს კია მოტორს ჯორჯია
- შპს იბერია ავტო
- შპს ანასეულის ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკა
- შპს "ასკანა"
- შპს ჯი.ჯი.ჯი
- შპს კახეთი 3000
- შპს კავკასია-2
- შპს ოფიცინა
- შპს ინტერნემენალ ტიმბერ პროდიუსინგ კომპანი
- შპს ეგიდა
- შპს ეკი
- შპს აერკომპანი
- შპს ლაურუს
- შპს ხობზის ცრემლები
- შპს ჯორჯიან ნექტარ
- სს ენისელი - ბაგრატიონი
- სს კორპორაცია ქინძმარაული
- შპს კონჭო და კომპანია
- შპს ქინძმარაულის მარანი
- შპს "ყვარლის ღვინის კომპანია"
- შპს კახეთი-კ
- შპს ყვარლის სარდაფი
- შპს "ნატეხი უტეხი"
- სს წყალი მარგებელი
- შპს გეოფიშ კომპანი
- შპს გურია ჯფ
- შპს GEO-FLOWER
- Sps elubra
- სს გომის სპირტის და არყის კომპანია
- შპს ხეთის დაფნა და ციტრუსი
- შპს ურეხი
- შპს მედინვესტი
- შპს "ბათუმიტექს"
- შპს "აგროექსპორტი"
- შპს გლობალი
- შპს BTM-TEXTILE
- შპს "ქართული მანდარინი"
- შპს აჭარ ენერჯი-2007
- შპს ბათუმის საერთაშორისო საკონტინენტო ტერმინალი
- შპს აჭარა ტექსტილე
- შპს "პოლა "
- შპს GEOFIBRE
- შპს ბი ემ სი გორგია
- შპს ბლექ სი პაილოტ სერვისი
- შპს "ბლექ სი-2009"

- შპს "ბონდი-2009"
- სს ქობულეთის ჩაი
- შპს "ემირი"
